პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 72 (10158) | შაბათი, 26 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას (1-ლი გვერდი).
მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე! (1-ლი გვერდი).
„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბირმელ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ტაკინ კოდო ხმაინგს (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ა. გოცირიძე. — სამეცნიერო დაწესებულების კომუნისტები (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — ლაშქრობა სიმინდის უხვი მოსავლისათვის (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს [illegible] სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ (მე-2 გვერდი).
ი. გობეჩია. — ვადები იწურება, [illegible] რდება (მე-3 გვერდი).
მტკიცე საზოგადოებრივი კონტროლი — სავაჭრო ობიექტებს (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე. — გ. ჩიბურდანიძე. — თანამედროვე მდგომარეობა საბერძნეთში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სერიოზული ყურადღება საგაზაფხულო თესვას!

გაზაფხული ძალაში შედის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები გაზაფხულს ხვდებიან უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი შემოქმედებითად შრომობს სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ვრცელი პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა შეიმუშავა. თვითეულ საბჭოთა ადამიანს ახარებს ის, რომ 1960 წლისათვის ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის საერთო წლიურმა მოსავალმა უნდა მიაღწიოს სულ მცირე 10 მილიარდ ფუთს, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გადიდდეს ერთიორად და მეტად. ამ საყოველთაოსახალხო ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში თავიანთი წვლილის შეტანად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ შეჯიბრების დროშას აწერია: მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ჩვენი ქვეყნისათვის.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები საქართველოში წელს უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წელს. მთელი რიგი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობები იცავენ თესვის აგროტექნიკურ ვადებს და მტკიცე საფუძველს უყრიან ბარაქიან მოსავალს.

ამასთან საგაზაფხულო კულტურების თესვის პირველი შედეგები მოწმობს, რომ ზევრგან ჯერ კიდევ ვერ იყენებენ მძლავრ ტექნიკას, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფომ შეაიარაღა საკოლმეურნეო სოფელი, აგრეთვე ხელსაყრელ ამინდებს თესვის ტემპის გასაძლიერებლად.

ფაქტები მოწმობენ, რომ მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესვის ტემპი არადამაკმაყოფილებელია ბორჯომის, თელავის, ლაგოდეხის, ხაშურის, ახალციხის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში.

ზოგიერთი რაიონი ჩამორჩა მზესუმზირას თესვაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20 მარტის ცნობებით, მზესუმზირას თესვის გეგმა საგარეჯოს რაიონს შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 5,9 პროცენტით, სიღნაღის რაიონს კი — 23,3 პროცენტით. სადაც მინდვრის სამუშაოებს თავიდანვე სერიოზულად მოკიდნენ, იქ მდგომარეობაც უკეთესია. ავიღოთ ორი მეზობელი რაიონის მონაცემები. 20 მარტისათვის მზესუმზარას თესვის გეგმა ახმეტის რაიონს შესრულებული ჰქონდა 85,2 პროცენტით, ხოლო თელავის რაიონს 39,6 პროცენტით. ჩამორჩენილი რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად, შექმნან ყველა პირობები იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაო დადგენილ ვადებში სრულდებოდეს.

პარტიამ არაერთხელ მიგვითითა, რომ მეცხოველეობის სწრაფი განვითარების ამოცანის განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის უზრუნველყოფას კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვებით. ამ მითითების შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები კულტურების კარგად დათესვას და მოვლას. სამწუხაროდ, ზოგან ამ საქმის ჯერ კიდევ აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. ამით უნდა აიხსნას ის, რომ საკვები კულტურების თესვის ახლანდელი ტემპი არ შეესაბამება იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენს კოლმეურნეობებსა და მტს-ებს აქვთ. დუშეთის, მარნეულის, ქუთაისის, თერჯოლის, ამბროლაურის, სამტრედიის, წულუკიძის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა საქმით იბრძოლონ საკვები კულტურების დარგში დავალების განაღდებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კარტოფილი მნიშვნელოვანი კულტურაა. ამასთან ცნობილია კარტოფილის დიდი როლი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. ეს გვავალებს გადაჭრით გავაუმჯობესოთ კარტოფილის მოყვანის აგროტექნიკა, მკვეთრად ავამაღლოთ მოსავლიანობა, რისთვისაც სათანადოდ არ ზრუნავენ კარტოფილის მომყვან ისეთ ძირითად რაიონში, როგორიც თეთრი წყაროა. დაბლობ ზონაში კარტოფილის რგვის ვადები იწურება, ხოლო სამუშაო ზანტად, ნელა სრულდება. საერთოდ თეთრი წყაროს რაიონში კარტოფილის რგვის გეგმა შესრულებულია 3,1 პროცენტით.

ქალაქ თბილისის საადრეო კარტოფილით მომარაგების საქმეში საპატიო ამოცანა აქვს დაკისრებული გარეუბნის რაიონს. აქ პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმებზე, კრებებსა თუ თათბირებზე ბევრს ლაპარაკობენ დედაქალაქის კარტოფილით შეუფერხებლივ მომარაგების აუცილებლობაზე, ბევრ დაპირებასაც იძლევიან, მაგრამ სიტყვა საქმეს სცილდება.

მალე სიმინდის თესვა დაიწყება. სიმინდი ძვირფასი მარცვლეული და სასილოსე კულტურაა. პარტიის მოწოდების პასუხად საქართველოს მშრომელები ზრდიან სიმინდის ნათეს ფართობებს, აჩაღებენ ბრძოლას სიმინდის ორი მოსავლის მისაღებად. არის სერიოზული სიგნალები, რომ მთელ რიგ რაიონებში თესვისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან. აბაშის რაიონში 908 ცენტნერი თესლი დაწონებულია სოკოვანი დაავადების მიზეზით. ახალქალაქის რაიონში 7.792 ცენტნერი თესლი სათეს კონდიციამდე არ არის აყვანილი. სათესლე მასალის მომზადებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას სწრაფად უნდა მოეღოს ბოლო.

ამთავითვე წესრიგზე უნდა მოვიყვანოთ სათესი მანქანები, სიმინდი დავთესოთ კვადრატულ-ბუდობრივად, რაც იძლევა ნათესების მექანიზებულად ორი მიმართულებით დამუშავების საშუალებას.

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სერიოზული ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვასა და სიმინდის თესვისათვის მზადებაში იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კონკრეტულ, კვალიფიციურ ხელმძღვანელობას არ უწევენ კოლმეურნეობებს.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სუსტად არის დაკავშირებული კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან. საჭიროა სამინისტრომ გააძლიეროს კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ქმედითი დახმარება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში.

კოლმეურნეები ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ“. კოლმეურნეობებში დაგეგმვის ახალი წესი აძლიერებს კოლმეურნეობათა დაინტერესებას მიწის ყველა სავარგულის მაქსიმალური და ინტენსიური გამოყენებით, ყოველ ას ჰექტარ მიწაზე პროდუქციის წარმოების გადიდებით. მაგრამ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში პერსპექტიული დაგეგმვის სამუშაოები შეუწყნარებლად ჭიანურდება.

ამასთან არის ჩამორჩენა კოლმეურნეობათა 1955 წლის საწარმოო გეგმისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენაში. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ კოლმეურნეობათა შესახებ. მახარაძის, გეგეჭკორის, მცხეთისა და წითელწყაროს რაიონებში საწარმოო გეგმის შედგენა დაწესებული ვადისათვის მთლიანად არ იყო დამთავრებული. დრო კი არ ითმენს. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს დაგეგმვის სამუშაოთა უახლოეს დღეებში დამთავრებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა ყოველ კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში საგაზაფხულო თესვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

ქართულ ენაზე გამოვიდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“

სახელგამმა ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1955 წლის 25 იანვარს. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა მკითხველთა კონფერენცია, მიძღვნილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

მოსმენილ იქნა მკითხველთა მოხსენებები შემდეგ თემებზე: „რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი“ (ზ. შველიძე), „1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების გამოძახილი საქართველოში“ (ე. ბერაძე), „რუსეთის პირველი რევოლუციის გამოძახილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (გ. ჭიპაშვილი), „1905 წლის რევოლუცია და ქართული ჟურნალ-გაზეთები“ (ა. ცამციშვილი).

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ მკითხველები და ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

* * *

სტალინირი. (საკ. კორ.). რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები. ლექციებს კითხულობენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფის წევრები. აგრეთვე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის ლექტორებმა ნ. მედოევმა, ს. მოდებაძემ, ა. არბოლიშვილმა და ტ. ჯიოევმა კოლმეურნეობებში წაიკითხეს ლექციები თემებზე: „პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში“, „რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავი“.

სტალინირის კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკაში მოწყობილია გამოფენა „1905 წლის რევოლუცია“. აქ წარმოდგენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაშრომები რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ. გამოფენები მოეწყო აგრეთვე პარტიის სტალინირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიბლიოთეკებში.

* * *

ფალენჯიხა. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებსა, ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ჩაის ფაბრიკებში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში მოეწყო 20-ზე მეტი ლექცია, მიძღვნილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

რაიკომის ბიბლიოთეკაში, კულტურის სახლში, სასოფლო კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო ლიტერატურისა და ფოტოდოკუმენტების გამოფენები, რომლებიც ასახავენ 1905-1907 წლის რევოლუციის ამბებს.

★ ★

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკამ კვარტალური დავალება შეასრულა

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკაში კვარტალური გეგმის ვადამდე შესრულებაში სახელი გაითქვა წარმოების მრავალმა მოწინავე ადამიანმა. მათ შორის არის მეპილწე თამარ კალანდარიშვილი. სურათზე: თ. კალანდარიშვილი მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც აქტიურად ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვადაზე 11 დღით ადრე — 20 მარტისათვის შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს პაპიროსის დამტენ საამქროში — მ. აზალაძემ და ა. კვასნიკოვამ, საკოლოფე საამქროში — ა. ქურხულმა, საჰილზე საამქროში — თ. კალანდარიშვილმა, მანქანათა დამრეგულირებელმა მექანიკოსებმა — ა. სარუხანოვამ, გ. აზალაძემ და ნ. პორტნოვმა, საროტაციო საამქროს მბეჭდავმა ბ. ბეღანიშვილმა და ზეინკალმა ი. მზევაშვილმა.

* * *

ორ დეკადაში — 24 დღის გეგმა

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ ც. კ-ის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. მარტის განვლილ ორ დეკადაში ქარხნის ძირითად და დამხმარე საამქროთა უმეტესობა სახელმწიფო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ყველაზე კარგ მაჩვენებლებს მიაღწია მილნამზადის საამქროს კოლექტივმა. აქ მარტის ორ დეკადაში გეგმის გადაჭარბებით გაგლინეს 3.000 ტონაზე მეტი მილნამზადი და 20 დღეში 24 დღის გეგმა შეასრულეს; ქარხნის მილგლინავებს ჯერ კიდევ 10 მარტისათვის იმდენი მილნამზადი მიაწოდეს, რაც ამა წლის პირველი კვარტალის გეგმით იყო გათვალისწინებული. ამასთან საამქროს კოლექტივმა დაზოგა დიდძალი ლითონი, საწვავი, ელექტროენერგია და გასულ წელთან შედარებით ერთიორად შეამცირა პროდუქციის წული.

ამჟამად მილნამზადის საამქრო უკვე მთელი საპროექტო სიმძლავრით მუშაობს და 22 პროფილის ნაგლინს უმზადებს. წელს აქ შეუდგნენ ახალი სახის პროდუქციის — კვადრატული ნამზადის გამოშვებას, რითაც მარაგდება წვრილსორტული საამქრო.

საამქროს ცვლებს შორის ყველას გაუსწრო ახალგაზრდა სპეციალისტის კონსტანტინე ქილიაევის ცვლამ.

საამქროს კოლექტივი გადიდებული საწარმოო ვალდებულებებით ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მგლინავებმა იკისრეს 25 აპრილისათვის შეასრულონ 4 თვის გეგმა, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 1,5 პროცენტით, 4 თვეში დაზოგონ 1.000 ტონა ლითონი, 400 ტონა მაზუთი, 100.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია და 15 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

შრომითს ვახტზე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც აქ წამოიწყო საქვაბე საამქროს კოლექტივმა. მექვაბეებმა იკისრეს მარტსა და აპრილში გეგმის გადამეტებით გამოუშვან თითო საორთქლმავლო ქვაბი, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ გეგმით გათვალისწინებულზე კიდევ 2 პროცენტით მეტად, გამოიყენონ ძველი ვარგისი დეტალები და ამით ორი თვის განმავლობაში მისცენ წარმოებას სულ ცოტა 20.000 მანეთი ეკონომია.

შეჯიბრებაში ჩაბმული საამქროების მოწინავე მუშები უკვე დადგნენ საპირველმაისო შრომითს ვახტზე და გააჩაღეს ბრძოლა ახალი მიღწევების მოსაპოვებლად. მექვაბეებმა ა. სოხაძემ, ვ. პილიპჩუკმა, მ. აბუაშვილმა, ე. ბაბაევმა მიზნად დაისახეს 1 მაისისათვის წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება.

ი. ბოლქვაძე,
საქარხნო გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქტორი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ბირმელ მწერალს ტაკინ კოდო ხმაინგს

რანგუნი, 23 მარტი. (საკ. კორ.). გუშინ რანგუნში მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს ბირმელ მწერალს **ტაკინ კოდო ხმაინგს.**

შვიდი ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა მოედანზე რანგუნის მუნიციპალიტეტის შენობის წინ. ტრიბუნაზე ადიან ტაკინ კოდო ხმაინგი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი და სხვები, რომლებსაც მჭუხარე ოვაციით და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ.

მიტინგი გახსნა ბირმა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტმა რანგუნის უნივერსიტეტის პროფესორმა უ აუნგ ხლამ. მოკლე შესავალ სიტყვაში მან ლაურეატი დაახასიათა როგორც ბირმელი ხალხის თავისუფლების წმინდა საქმისათვის, თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის გმირი მებრძოლი.

შემდეგ სიტყვა ეძლევა საბჭოთა მწერალს ნიკოლოზ ტიხონოვს.

— მე განსაკუთრებით მიხარია, — თქვა ტიხონოვმა, — რომ შემიძლია გადმოგცეთ ეს მაღალი და დამსახურებული ჯილდო იმ დღეს, როცა მთელი ბირმელი ხალხი და ყველა მისი მეგობარი აღნიშნავენ თქვენი დაბადების მე-80 წლისთავს. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო თქვენი საგულისხმო და გმირული ცხოვრების მატიანე, ცხოვრებისა, რომლის მიზანია სამსახური ხალხისათვის, სამსახური ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

დასასრულ ტიხონოვმა თქვა: „მსურს თქვენი სახით უაღრესად გულითადი სალამი გადავცე საბჭოთა ხალხის სახელით მშვიდობისმოყვარე, ნიჭიერ, მშვიდობიან ბირმელ ხალხს და გისურვოთ მრავალ წელს სიცოცხლე, შემოქმედებითი შთაგონება და ახალი წარმატებანი მშვიდობისათვის, საბჭოთა და ბირმელი ხალხების მეგობრობის განმტკიცების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში“.

შემდეგ რუსულ და ბირმულ ენებზე ქვეყნდება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის კომიტეტის დადგენილება ტაკინ კოდო ხმაინგისათვის პრემიის მინიჭების შესახებ. ნ. ტიხონოვმა ლაურეატს გადასცა დიპლომი და მკერდზე დაჰკიდა ოქროს medaლი. მოედანზე იმართება მჭუხარე ოვაცია. ტრიბუნაზე ადიან და ლაურეატს ულოცავენ ბირმის ქალთა ლიგის თავმჯდომარე, ქალთა დემოკრატიული მოძრაობის ცხობილი მოღვაწე დო ქხინ ხლა, ბირმის მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარე უ ტინ ფატი, სრულიად ბირმის ახალგაზრდობის ლიგის პრეზიდენტი უ ტინი, პროფკავშირების, გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, აგრეთვე ბუდისტ ბერ-მონაზონთა წარმომადგენლები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ტაკინ კოდო ხმაინგმა.

ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის სტალინური პრემია მომენიჭა არა იმდენად პირადად მე, თქვა ტაკინ კოდო ხმაინგმა, რამდენადაც ბირმელ ხალხს. ბირმელ ხალხს აქვს უცხოეთის ბატონობისადმი წინააღმდეგობის სახელოვანი ტრადიცია. როცა ინგლისელებმა დაიპყრეს ბირმა, ბირმელი პატრიოტები, რომლებსაც არა სურდათ რომ მათი ქვეყანა დამონებული ყოფილიყო, 12 წელიწადს იბრძოდნენ თავისუფლებისათვის...

სწორედ ამ ბრძოლის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის მთელი ბირმელი ხალხის ბრძოლის აღსანიშნავად მომენიჭა მშვიდობის სტალინური პრემია.

ტაკინ კოდო ხმაინგმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— გაუმარჯოს „მშვიდობას მთელ მსოფლიოში! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობა!

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას

გაიმართა მშვიდობის დაცვის მოსკოვის საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბა დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი.

პლენუმი გახსნა აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ. პლენუმის მონაწილეებმა დიდი უურადღებით მოისმინეს კომიტეტის თავმჯდომარის აკადემიკოს ნ. ვ. ციცინის მოხსენება ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ ქალაქ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები — № 42 შახტის საყელავი მანქანის მემანქანე პ. ი. ლაზარევი, მოსკოვის საბინაო მშენებლობის ტრესტის კალატოზი ფ. ს. პარილოვი, რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობის „ეზა კომუნიზმისაკენ“ მეცხოველეობის ფერმის გამგე პ. ს. ივლევა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ბაკულევი, ქალაქ მოსკოვის ყოდნოვის რაიონის № 622 საშუალო სკოლის მასწავლებელი ზ. კ. კრასნოვა, აკადემიკოსი ლ. ნ. ივანოვი, პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. ვასილიევი, საკავშირო ალკა მოსკოვის კომიტეტის მდივანი მ. ი. ხალდეევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კ. ნ. ელანსკაია, აკადემიკოსი ს. ლ. სობოლევი, პოეტი ლ. ი. ოშანინი. ისინი ლაპარაკობენ საბჭოთა ადამიანების ურყევ მზადყოფნაზე დაიცვან მშვიდობა, ალაგმონ ომის გამჩაღებლები, თავიანთი შრომით განამტკიცონ საბჭოთა სახელმწიფოს ძალა და ძლიერება.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც სავსებით იწონებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილებას ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობის შესახებ სსრ კავშირში. აქვე, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, პლენუმის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს მიმართვას.

პლენუმმა აირჩია მშვიდობის მომხრეთა მეხუთე სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატები. (საკდესი).

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!

მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, საბჭოთა ადამიანები აცხადებენ, რომ მზად არიან დაუცხრომლად იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, მხურვალედ იწონებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ორატორთა სიტყვებში გაისმის იმპერიალისტების ზრახვების მრისხანე დაგმობა, იმპერიალისტებისა, რომლებიც ცდილობენ მსოფლიოს ხალხები ჩააგდონ ახალ უბედურებაში.

გამოვიდა რა ლენინგრადის მშვიდობის დაცვის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, კოლმეურნეობა „ისკრის“ თავმჯდომარემ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. პეტროვამ განაცხადა:

— ჩვენ მშვიდობიანი ადამიანები ვართ, მაგრამ ვაი იმათ, ვინც გვაიძულებს ხელი მოვაკიდოთ იარაღს. გვწამს რა ჩვენი ძლიერება, ჩვენ ფიზიზლად ვადევნებთ თვალს ომის გამჩაღებელთა მოქმედებას და მზად ვართ ძალის ძალითვე ვუპასუხოთ. დაე იცოდნენ იმპერიალისტებმა, რომ თუ ისინი გააჩაღებენ ომს, ეს მათ დალუპვას გამოიწვევს.

კიშინიოვში გაიმართა მშვიდობის დაცვის მოლდავეთის რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მელითონეები და მწერლები, მევენახეები და ექიმები, ინჟინრები და სოფლის მექანიზატორები. „ატომური იარაღი გამოვაცხადოთ კანონგარეშე, თავიდან ავიშოროთ ახალი მსოფლიო ომი“ — ასეთია თვითეული მათგანის მოთხოვნა, ასეთია მთელი მოლდაველი ხალხის ნება.

მშვიდობის დასაცავად ილაპარაკეს აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელებმა, კოსტრომის ოლქის კოლმეურნეებმა, დონის კაზაკებმა.

მშვიდობის დაცვის როსტოვის საოლქო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა აზოვის რაიონის ჩკალოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნემ ამხ. ნესკუბინმა.

— დონის კაზაკები, — თქვა მან, — სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ატომური ომის გამჩაღებლებს. ჩვენ ვეწევით მშვიდობიან შრომას და მთელ ძალღონეს ვახმართ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

უკვე ორმოც წელზე მეტია ბავშვებს ზრდის რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ამხ. ბოლშაკოვი. მშვიდობის დაცვის პენზის საოლქო კომიტეტის პლენუმზე ძველმა პედაგოგმა თქვა:

— იმპერიალიზმის ბოროტი ძალები ცდილობენ თავიანთი ქვეყნების პარლამენტებს მიაღებინონ ატომური ომის გეგმები. ეს გამოიწვევს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციასაც. მაგრამ დედამიწაზე არ არის ხალხი, რომელსაც სურდეს ახალი ომი. არა უდროო სიკვდილისათვის, არამედ ბედნიერი ცხოვრებისათვის ვზრდით ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას. ჩვენ, საბჭოთა ქალები, მოვალეობის დიდი შეგნებით მოვაწერთ ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

გაიმართა აგრეთვე ასტრახანის, ბრიანსკის, ვოლოგდის ოლქების მშვიდობის დაცვის კომიტეტების პლენუმები. ყველგან იღებენ რეზოლუციებს, რომლებიც მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებას ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობის შესახებ სსრ კავშირში. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

სამეცნიერო დაწესებულებების კომუნისტები

კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ინსტიტუტის კომუნისტების ღვიძლი საქმეა მთელ კოლექტივთან ერთად ყველაფერი გააკეთონ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამ მხრივ ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. მთელი მისი საქმიანობა მიმართულია სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გეგმების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისაკენ.

პარტბიურო (მდივანი ვ. გოგოშვილი) საფუძვლიანად სწავლობს ინსტიტუტის ცალკეული განყოფილებების მუშაობას, ამჟღავნებს ნაკლოვანებებს და იბრძვის ამ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, წარმართავს პროფესორების, მეცნიერებათა კანდიდატების საქმიანობას. პარტბიურო გულისხმიერად ეკიდება კომუნისტთა სიგნალებს, კრიტიკულ შენიშვნებს და მათგან საჭირო დასკვნები გამოაქვს.

უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე პარტბიურომ ხუთჯერ განიხილა საკითხი კომუნისტი მეცნიერი მუშაკების სამეცნიერო-საკვლევი საქმიანობის შესახებ. პარტბიუროს ამას წინათ გამართულ სხდომაზე გამომეყვანდა, რომ ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი ამ მხრივ კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას არ ახმარს მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტას. პარტბიუროს მიერ დასახულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სამეცნიერო მუშაობის გაძლიერებას. გამოქვეყნდა რამდენიმე სამეცნიერო შრომა. მზადდება და ამ დღეებში გამოქვეყნდება ინსტიტუტის შრომების ახალი კრებული.

მაგრამ ნაკლოვანებები ამ საქმეში ჯერ კიდევ არის. ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი დაწესებულ დროზე ვერ ამუშავებს სამეცნიერო თემას. ასე მოუვიდა, მაგალითად, მეცნიერ მუშაკს ნ. ცხომელიძეს. ამაში ბრალი მიუძღვის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსაც, რომელმაც მთელი წლის სამუშაო თემატიკა დაგვიანებით დაამტკიცა.

პარტიული ორგანიზაცია იმისათვის იბრძვის, რომ მეცნიერი მუშაკები არა მარტო ახალი მიღწევებით ამდიდრებდნენ საბჭოთა მეცნიერებას, არამედ მეცნიერების ამ მიღწევებს გაბედულად ნერგავდნენ პრაქტიკაში. პარტორგანიზაციის თაოსნობით ინსტიტუტმა შეფობა აიღო თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობაზე. ამას წინათ პარტბიუროს წევრის, ინსტიტუტის დირექტორის ვ. გოგიბედაშვილის ხელმძღვანელობით რუისპირში ჩავიდა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი. ჯგუფის წევრებმა ადგილზე მოაწყეს საუბრები და ლექციები მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, რჩევა-დარიგება მისცეს კოლმეურნეებს.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მეცნიერ მუშაკებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ ახალი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაზე. დიდი ნაყოფი გამოიღო ამას წინათ კურორტების რესურსების შესწავლის საკითხზე გამართულმა სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს კურორტოლოგთა კონფერენციამ.

პარტბიუროო ყურადღებით მოეკიდა კომუნისტების საქმიან წინადადებას ცაიშის მინერალური წყლის შესწავლის შესახებ. მალე ინსტიტუტის ექსპედიცია კომუნისტ დოცენტ შ. ფარჯანაძის ხელმძღვანელობით სოფელ ცაიშს ჩავიდა. ექსპედიციამ ადგილზე დაწვრილებით შეისწავლა მინერალური წყლის თვისებები, ამასთან სათანადო საექიმო დახმარება აღმოუჩინა სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფებს.

პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს კომუნისტების შემოქმედებითი აქტივობის გასაძლიერებლად, იმისათვის, რომ ინსტიტუტის კოლექტივი საბჭოთა მეცნიერების მოწინავე რიგებში იდგეს. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ექსპერიმენტული კურორტოლოგიის საკითხებზე მოსკოვში გამართულ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე. მომძე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ა. ბაკურაძემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. კობახიძემ, მეცნიერმა მუშაკებმა მ. ჯუღელმა, ვ. გოგოშვილმა, თ. ყიფიანმა, მ. დგებუაძემ და სხვებმა. მათ წაიკითხეს მოხსენებები ბორჯომის, წყალტუბოს, ჯავის და სხვა მინერალური წყლების მოქმედების შესახებ.

მაგრამ პარტბიუროომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმას, რომ ყველა კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. სუსტად არის დაყენებული ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა. პარტიის წევრობის კანდიდატი თ. გვიჩია არ მუშაობდა იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად, არაკეთილსინდისიერად ასრულებდა პარტიულ დავალებებს. დაბალია პარტიულ კრებებზე კომუნისტების აქტივობა. მაგალითად, პარტიულ კრებაზე, რომელზეც განიხილეს საკითხი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, კამათში მხოლოდ ორმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა.

კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ნოემბერში გაიმართა, კომუნისტებმა ამხილეს მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ ღონისძიებათა შესასრულებლად, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა უნდა გასწიოს პარტბიურომ იმისათვის, რომ კომუნისტებს გაუძლიეროს ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი.

საჭიროა პარტორგანიზაციამ შემდგომ გააძლიეროს კომუნისტების აქტივობა და შემოქმედებითი თაოსნობა იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

ა. ბოცვირაძე.

ქალაქი ფოთი

ახალგაზრდა მელიორატორთა სამეჯლო

ასე უწოდებენ ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმს, რომელიც ერთადერთია ჩვენს რესპუბლიკაში. თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე ტექნიკუმმა გამოუშვა 1.200-ზე მეტი ახალგაზრდა ჰიდროტექნიკოსი და მელიორატორი. მარტო გასულ წელს გამოშვებულ იქნა 110 ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელთა ნაწილი წავიდა ზოძმე რესპუბლიკების მშენებლობებზე.

მოსწავლეთა განკარგულებაშია სამსართულიანი შენობა, რომელსაც აქვს 14 საკლასო ოთახი, 10 კაბინეტ-ლაბორატორია, კლუბი, სამკითხველო, სპორტდარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ნავსადგურელთა რადიოგაზეთი

კვირაში ერთხელ, ყოველ პარასკევს ნავსადგურის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები თავიანთი რადიოკვანძით ისმენენ ადგილობრივ რადიოგადაცემებს. ეს რადიოგაზეთის მასალებია, რომლებშიც მოთხრობილია ნავსადგურელთა შრომითი წარმატებების შესახებ. მიკროფონთან სისტემატურად გამოდიან საწარმოო რაიონების უფროსები, ბრიგადირები, მეამწეები, სტაბანოველი მუშები. ისინი ლაპარაკობენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, მუშაობის დადებით გამოცდილებაზე. ეწყობა კონცერტები.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი

სულ უფრო ფართოვდება ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი. მარტო ფოთავაჭრობას აქვს 200-მდე ობიექტი. გასულ წელს მოსახლეობას მიეყიდა 91.567 ათასი მანეთის საქონელი, რაც გეგმის 102,2 პროცენტს შეადგენს. ქალაქში გაიხსნა უნივერსალური და სპეციალიზებული საბრიწეველო საქონლის, მზა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, საიუველირო და სხვა მაღაზიები. წელს გაიხსნება ათამდე ახალი ობიექტი.

კრედიტი ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს

გასულ წელს 220-მდე ინდივიდუალურმა ბინათმშენებელმა მიიღო სახელმწიფო კრედიტი 2.199 ათასი მანეთის რაოდენობით. 90-ზე მეტმა მშრომელმა აიგო ახალი სახლები. წელს ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს გაცილებით მეტი თანხები მიეცემათ.

კ. კოპაძიძე.

* * *

სურათზე: მარგანეცის მადნის დატვირთვა გემ „ჩერნიგოვზე“ პორტალური ამწით ფოთის ნავსადგურში.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებისა

უკანასკნელ ხანს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის ორი ახალი ძეხვედრა მოსკოვში ავსტრიის რესპუბლიკის ელჩ ბ-ნ ნ. ბიშოფთან ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხზე — 14 მარტსა და 24 მარტს.

14 მარტს შეხვედრისას ავსტრიის ელჩმა ბ-ნმა ნ. ბიშოფმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს გადასცა ავსტრიის მთავრობის შემდეგი პასუხი საბჭოთა მთავრობის ამა წლის 8 თებერვლის წინადადებებზე ავსტრიის საკითხის შესახებ.

„ფედერალურმა მთავრობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავსტრიის საკითხის, ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესების შესაბამისად დემოკრატიული ავსტრიის სრული დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის მოწესრიგებას. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს გაუმართლებლად მიაჩნია რაიმე შემდგომი გაჭიანურება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საქმეში.

1-ლი პუნქტის შესახებ.

ფედერალური მთავრობა მიესალმება ავსტრიის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ყოველ ქმედითს უზრუნველყოფასა და გარანტიას ხელყოფის წინააღმდეგ, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს იგი, და, ამით, აგრეთვე ანშლუსის საშიშროების წინააღმდეგ.

მე-2 პუნქტის შესახებ.

ფედერალური მთავრობას არაერთხელ განუცხადებია საკუთარი ნათლად, რომ ავსტრია არ აპირებს მიემხროს სამხედრო კავშირებს ან დაუშვას, რომ მის ტერიტორიაზე შექმნან სამხედრო ბაზები. ფედერალური მთავრობა მზად არის აზრთა გაცვლის საგანი გახადოს ის ფორმა, რომლითაც გარკვეულ პირობებში შეიძლება კვლავ გაკეთდეს განცხადება.

მე-3 პუნქტის შესახებ.

ფედერალური მთავრობა აგრეთვე დარწმუნებულია, რომ ავსტრიის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეიძლება გამონახოს ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს თანხმობა ავსტრიის მონაწილეობით. მაგრამ მას მიაჩნია, რომ წინასწარ საჭიროა იმდენად გამოირკვეს 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული პრობლემები, რომ ასეთი თანხმობა იძლეოდეს კონკრეტული შედეგის სწრაფად მიღწევის პერსპექტივას.

ფედერალურ მთავრობას მიაჩნია, რომ თუ ოთხი სახელმწიფო ავსტრიის მონაწილეობით ცალკე განიხილავს სახელმწიფო ხელშეკრულებას, „ამას მოჰყვება ხელშეკრულების წარმატებით დადება“.

ამასთან დაკავშირებით 24 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრიის ელჩი ბ-ნი ნ. ბიშოფი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი პასუხი ავსტრიის მთავრობის ზემომოყვანილ განცხადებაზე.

„გაეცნო რა ავსტრიის მთავრობის 14 მარტის პასუხს, საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ავსტრიის მთავრობა ეთანხმება საბჭოთა მთავრობის აზრს, რომ ავსტრიის საკითხის, დემოკრატიული ავსტრიის სრული დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის მოწესრიგება უნდა შეესაბამებოდეს ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს.

ანგარიშს უწევს რა ავსტრიის მთავრობის სურვილს, საბჭოთა მთავრობა თანხმდება, რომ ოთხი სახელმწიფოს თათბირზე ავსტრიის მონაწილეობით ავსტრიის ხელშეკრულების საკითხი განხილულ იქნას განცალკევებულად.

მოსკოვი, 1955 წლის 24 მარტი“.

გარდა ამისა ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნ ნ. ბიშოფს გაუკეთა შემდეგი სიტყვიერი განცხადება.

„ავსტრიის კანცლერის ბ-ნ რ. რაბის გამოქვეყნებული განცხადებებით საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილია მისი დადებითი დამოკიდებულება იმ შესაძლებლობისადმი, რომ ჩამოვიდეს მოსკოვში ამ საკითხებზე მოსალაპარაკებლად, რომლებიც დაკავშირებულია ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადებასთან.

იღებს რა მხედველობაში ბ-ნ რაბის აღნიშნულ განცხადებას და სასურველად მიაჩნია რა საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტის დამყარება, საბჭოთა მთავრობა მიესალმება უახლოეს დროში კანცლერ რაბის, აგრეთვე ავსტრიის იმ სხვა წარმომადგენელთა მოსკოვში ჩამოსვლას, რომელთა ამ მიზნებით გამოგზავნას მოსკოვში სასურველად მიიჩნევს ავსტრიის მთავრობა“.

ელჩმა ბიშოფმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ აცნობებს ამას ავსტრიის მთავრობას.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობის გამო

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის სავაჭრო მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შედეგად, ამა წლის 24 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს 1955 წელს სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის მარცვლეულს, ბამბას, შავ და ფერად ლითონებს, ქვანახშირს, ნავთობს, კოქსს, რკინის, მარგანეცისა და ქრომის მადანს, ბტომანქანებსა და სხვა საქონელს, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ესაჭიროება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს მიაწვდის საზღვაო და სამდინარო გემებს, ვაგონებს, საგლინავ, საამწეო-სატრანსპორტო, სამჭედლო-საწნეხ და სხვა მოწყობილობას, აგრეთვე სხვა საქონელს, რასაც სსრ კავშირს წინა წლებში აწვდიდა.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა, გერმანიის მხრივ — გერმანიის საგარეო და შინაგაჭრობის სამინისტროს სტატს-მდივანმა კ. გრეგორმა.

პრესის მიმოხილვა

ლაშქრობა სიმინდის უხვი მოსავლისათვის

კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას დიდი, პასუხსაგები ამოცანები დაუსახა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა, რომელმაც განიხილა „მეცხოველეობის პროდუქტებს წარმოების გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი. პლენუმმა დასახა საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღორძინებისა და მარცვლეულის წარმოების გადიდებაში კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის მონაწილეობის გზები, მოუწოდა მათ მოაწყონ ლაშქრობა სიმინდის მოყვანისათვის.

— კომკავშირელებო. ჰაბუკებო და ქალიშვილებო, — ნათქვამია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, — მოაწყეთ ლაშქრობა სიმინდის მოყვანისათვის! ერთსულოვნად, კომკავშირული გულმოდგინებით მოკიდოთ ხელი ამ საქმეს, სიმინდის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ჩავებათ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი ახალგაზრდობა.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, სოფლის ახალგაზრდობა პატრიოტული აღტაცებითა და ენერგიით შეხვდნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად სიმინდის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში ემბრძოლა ათობით ახალგაზრდული რგოლი და სატრაქტორო ბრიგადა. იმ დიდ შრომითს აღმავლობაზე, რაც ამჟამად სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებშია, ახალგაზრდა კოლმეურნეებისა და მექანიზატორების მტკიცე გადაწყვეტილებაზე — არ დაიშურონ ძალღონე სიმინდის მაღალი მოსავლისათვის, ამ გადაწყვეტილებათა პირნათლად განაღდებისათვის მათ მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე სისტემატურად, საქმიანად მოგვითხრობენ რესპუბლიკის ახალგაზრდული გაზეთები **„ახალგაზრდა კომუნისტი“** და **„მოლოდო სტალინეცი“.**

საერთო სათაურით „ჰაბუკებო და ქალიშვილებო, აქტიურად ჩაებით სიმინდის უხვი მოსავლისათვის მოწყობილ ლაშქრობაში!“ გაზეთი **„ახალგაზრდა კომუნისტი“** ბეჭდავს კორესპონდენციებსა და ინფორმაციებს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სიმინდის მომყვანი ახალგაზრდული რგოლების ჩამოყალიბების შესახებ, მოგვითხრობს სოფლის ახალგაზრდობის ღონისძიებებზე იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა. ჩაებნენ რა სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მოწყობილ ლაშქრობაში, ქედს მტსის ახალგაზრდა მექანიზატორებმა პირობა დადეს სიმინდის ნათესი ფართობების გადიდების მიზნით ალაზნის ვაზე მდებარე ნოყიერ მიწებზე ჯავნარისაგან გაწმენდონ და დაამუშაონ 50 ჰექტარი ყამირი, წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდი დათესონ 300 ჰექტარზე, მოსავალი აიღონ კომბაინებით და სხვ. ხაშურის რაიონის სოფელ აგარების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის იმ მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც ახალგაზრდა კოლმეურნედ. გობოზაშვილი ხელმძღვანელობს, გადწყვეტა შარშანდელთან შედარებით 10 ჰექტარით მეტი სიმინდი დათესოს და ერთისამად გადიდოს ამ ძვირფასი კულტურის მოსავალი. სიმინდის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში ჩაებნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს გორის, ლენტეხის, ქუთაისის და სხვა რაიონების ახალგაზრდა კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა. **„მოლოდო სტალინეცმა“** მოუთხრო მკითხველებს, თუ როგორ შეიქმნა სიმინდის მომყვანი ახალგაზრდული რგოლები სამტრედიის რაიონის სოფელ გომის ცხაკაიას სახელობის, ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის მოლოტოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა შავი ზღვის სანაპიროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას გამოვიდნენ წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღების ინიციატორებად, ხელი მოაკიდონ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის განხორციელებას, გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება, თავიანთი გულმოდგინება. რესპუბლიკის ახალგაზრდული ბრესა რაზმავს აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, შავი ზღვის სანაპიროს რაიონების სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მშრომელებს ამ მოწოდების პირნათლად განხორციელებისათვის. გაზეთი **„მოლოდო სტალინეცი“** რუბრიკით „სიმინდის ორი მოსავლისათვის!“ ბეჭდავს საინტერესო მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია სიმინდის ორი მოსავლის მოყვანისათვის სოფლის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ინიციატივასა და თაოსნობაზე. ვრცელ **„კორესპონდენციაში „გუდაუთის რაიონის კომკავშირელები იღებენ ახალ ვალდებულებებს“** გაზეთმა ცოცხლად აგვიწერა, თუ როგორ დაეხმარა სიმინდის ორი მოსავლის მიღების აზრი ამ რაიონის სოფელ ახალსოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობას, როგორ საქმით ვითარებაში ჩაიარა ამ საკითხისადმი მიძღვნილმა ღია კომკავშირულმა კრებამ, რა კონკრეტული ვალდებულებები იკისრა კოლმეურნე ახალგაზრდობამ ან დიდი სახელმწიფოებრივი საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის თაოსნობაზე მოგვითხრო **„ახალგაზრდა კომუნისტმა“.** კორცხელელი ახალგაზრდობის ინიციატივას სიმინდის ორი მოსავლის მიღებაში მზარი დაუჭირა კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც ურჩია რაიონის საყოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებს მიბაძონ ამ კარგ წამოწყებას. კორცხელელ ახალგაზრდობას უკვე გამოუჩნდნენ მიმდევრები, რუხის და სხვა კოლმეურნეობებში - იქმნება ახალგაზრდული რგოლები, რომლებიც პირობას დებენ წელს მოიყვანონ სიმინდის ორი მოსავალი.

ახალგაზრდული გაზეთები ზრუნავენ სიმინდის მოყვანის აგროტექნიკის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის. რუბრიკით „მოწინავეთა გამოცდილების ტრიბუნა“ „ახალგაზრდა კომუნისტმა“ დაბეჭდა ნარკვევი სიმინდის მაღალი მოსავლის სახელმოვეჭილი ოსტატის გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის სოციალისტური შრომის გმირის ძუკერიგვავასა და მისი მოწაფეების — კომკავშირელების ივანე შამუგიას, მირონ ლაგვილავას, ალუმბერ ტურავასა და სხვ. სასახელო საქმეებზე, მათს გამოცდილებაზე. ორივე გაზეთმა მოთათვა აგრეთვე ნოტატორი. აგრონომის ა. ჯორბენაძის ნაამბობი წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღების შესახებ. „მოლოდო სტალინეცმა“ დაბეჭდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსი აგრონომის კ. კალანდაძის საინტერესო სტატია „სიმინდის მოსავლიანობის გადიდების გზები“.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებული ლაშქრობის მიმდინარეობის, იმ შრომითი აღმავლობის ჩვენებასთან ერთად, რამაც მოიცვა სოფლის ახალგაზრდობა, ახალგაზრდული გაზეთები ვალდებული არიან მწვავედ აკრიტიკებდნენ იმათ, ვინც ბეგრს ლაპარაკობს, მაგრამ ცოტას აკეთებს სიმინდის ნათესების გაფართოებისათვის, მარცვლეულის მაღალი მოსავლის მიღებისათვის. „ახალგაზრდა კომუნისტმა“ მწვავედ, საქმიანად გააკრიტიკა ჭარელის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად იბრძვიან სიმინდის მოსავლის გადიდებისათვის, ხოლო „მოლოდო სტალინეცმა“ — კომკავშირის ბოლნისის რაიონული კომიტეტი, ოომელიც აჭიანურებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სამწუხაროდ, ასეთი მეგრძოლი, კრიტიკული წერილები ამ გაზეთების ფურცლებზე ჯერჯერობით იშვიათად ქვეყნდება.

ის, რასაც რესპუბლიკის ახალგაზრდული გაზეთები სიმინდის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობის ფართოდ გასაჩაღებლად აკეთებენ, საქმის მხოლოდ დასაწყისია. მათ მოელით დიდი აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ახალგაზრდობის მთელი ძალების დარაზმვისათვის.

რესპუბლიკის ახალგაზრდული გაზეთების ფურცლებზე ფართო ასახვა უნდა ჰპოვოს, თუ რას აკეთებენ ამჟამად სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები კოლმეურნეობების გამეობებთან ერთად სიმინდისათვის ყველაზე გამოსადეგი მიწის ნაკვეთების შესარჩევად, საკუთარი ძალებით ადგილობრივი სასუქების დასამზადებლად და მინდვრად გასატანად, მაღალხარისხოვანი თესლის მოსამზადებლად, ადგილობრივ ბიოლოგიურ ბაზებზე, ბაკურიანში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბაკურიანში, ბაკურიან

წერილი რედაქციას

მაყურებლის მოვალეობა

პრესაში, თათბირებზე მაყურებლები ხშირად აკრიტიკებენ კინოთეატრების მუშაკებს. მათი საყვედური ძირითადად ეხება კინოფიკაციის ორგანიზაციის მუშაობის სუსტ მხარეებს. მაგრამ ამართლიან კრიტიკასთან ერთად ზოგჯერ მაყურებელი არასწორად აფასებს კინოთეატრების მუშაობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მაყურებელი კინოსეანსზე იგვიანებს. ასეთ შემთხვევაში კინოთეატრის ადმინისტრაცია ვალდებულია მაყურებელი არ დაუშვას დარბაზში, ხოლო ბილეთები დაუქმოს. როდესაც კინომუშაკები ამ წესს ახორციელებენ, იწყება დაგვიანებულთა დავა და საჩივრები.

ბევრია ისეთი შემთხვევაც, როდესაც მაყურებელი მოითხოვს სეანსებზე ჩვილწოვანი ბავშვების შეყვანას, რომლებიც ხშირად თავიანთი ტირილით ან ხმაურით ხელს უშლიან მაყურებლებს.

არაერთხელ ყოფილა დაყენებული საკითხი კინოთეატრებში ბილეთების წინასწარი გაყიდვის ორგანიზაციის შესახებ. არ არსებობს თბილისში ისეთი კინოთეატრი, რომელიც განსაზღვრულ საათებში წინასწარ არ ჰყიდდეს ბილეთებს. ბილეთების წინასწარი გაყიდვით ხშირად სარგებლობენ გადამყიდველები. ბევრ მაყურებელს რატომღაც ჰგონია, რომ ბრძოლა ბილეთების გადამყიდველებთან მარტო მილიციის ორგანოებისა და კინოთეატრების მუშაკთა საქმეა.

თუ ეს წესები დაცულ იქნება, საგრძნობლად გაუმჯობესდება მაყურებელთა მომსახურება კინოთეატრებში.

შ. ტატიშვილი.

კინოთეატრ „ოქტომბრის“ დირექტორი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თესლის მომზადებას აჭიანურებენ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა ქარელის რაიონის სოფლების ქვეყანტაოს, ქარელის, ბრეძის, ატოცის, კეხოჯრისის და სანგებლის კოლმეურნეობებში ხორბლისა და შვრიის თესლის მოემზადებლობას და ამავე რიგ კოლმეურნეობებში კარტოფილის თესლის ნაკლებობას.

საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიონული კომიტეტი გვაცნობებს, რომ წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა ეს საკითხი. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და პარტორგანიზაციების მდივნებს მიუთითა და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

* * *

მცხეთის რაიონიდან რედაქციას სოფლკორი წერდა: სოფელ ქსოვრისის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში მთელი რიგი დაბაზნჯებებია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ახალაშვილი გულგრილად ეკიდება საკოლმეურნეო საქმიანობას. საბოსტნე ნიადაგი კოლმეურნეობამ მზრალად ვერ დამუშავა, არ ეზრუნველყო ნათესების მოვლა-დამუშავება აგროტექნიკური ვადების დაცვით.

რედაქციამ წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომს გადაუგზავნა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო ამხ. ახალაშვილს დაადო პარტიული სასჯელი.

ვაღების იწურება, ჩაის სამუშაოები ჭიანურდება

წელს გალის რაიონის კოლმეურნეობათა წინაშე პასუხსაგები ამოცანებია დასახული. მათ უნდა გაიშენონ 115 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, ყარგად ჩაატარონ საგაზაფხულო სამუშაოები, მტკიცე საუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავალს.

როგორ სრულდება ჩაის სამუშაოებიო შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ მხრივ კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრგან სისტემატურად ირღვევა სამუშაოთა შესრულების ვადები, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, გვიანდება პლანტაციების გაშენება, ზოგან ცუდად უვლიან ჩაის ბუჩქებს, რის გამო დაბალია მოსავლიანობა.

პლანტაციების ნაწილი მოუვლელობის გამო დაფარულია ეკალბარდით. ზოგიერთი კოლმეურნეობაში უპატრონოდ მიტოვებულია ჩაის პლანტაციები, რომელთაგან 100 ჰექტარზე მეტი მოსავლიანია. ასეთი მდგომარეობაა სოფელ ნაბაკევის კოლეგიის სახელობის, სოფელ თაგილნის ყდანოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დიდი განსხვავებაა ჩაის პლანტაციების ფაქტიურ ფართობებსა და მტს-ის მონაცემებს შორის. ეს განსხვავება რაიონის კოლმეურნეობებში 360 ჰექტარზე მეტს შიდგენს. სოფელ გუდავის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობას აკლია 52 ჰექტარი, ხოლო იმავე სოფლის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობას — 40 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

მიუხედავად ჰავის ხელსაყრელი პირობებისა, ჩაის სამუშაოებში დიდი ჩამორჩენაა. სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის და სოფელ ჯუბუტრიწყლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები მუშაობის პირობებით რაიონის დანარჩენი კოლმეურნეობებისაგან არ განსხვავდებიან. ამ კოლმეურნეობებმა ჩაის პლანტაციების მსუბუქი გადამბარვის, მინერალური სასუქების შეტანის, რემონტის სამუშაოები გადაჭარბებით გაანაღდეს. ისინი ამჟამად წარმატებით აწარმოებენ ჩაის გასხვლის, ლაო-ჩაის დამზადებისა და ახალი პლანტაციების გაშენების სამუშაოებს.

მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ. ბევრ კოლმეურნეობაში ითმენენ შრომის დისციპლინის დარღვევას, სამუშაოთა გაცდენას და ამის შედეგად აგროვადების უხეშად დამახინჯებას.

სოფელ საბერიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ვიგვით 111 ჰექტარი ჩაის პლანტაცია უნდა გადამბარათ, მაგრამ ეს სამუშაო დიდი დაგვიანებით დაიწყეს და ახლაც ნელი ტემპით აწარმოებენ. ჭიანურდება აგრეთვე პლანტაციებში კალიუმის სასუქის შეტანა, ჩაის ბუჩქების გასხვლა. ამ მუშაობი საქმოდ ჰყავთ, ამინდიც ხელსაყრელია, მაგრამ ძალები სათანადოდ ვერ გამოიყენეს. მეჩაიეთა ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობის მარტო პირველ ბრიგადაში 41 შრომისუნარიანი კოლმეურნე ირიცხება. ფაქტიურად ყოველდღიური დავალების შესრულებაზე მხოლოდ 30-32 კოლმეურნე გამოდის.

სოფელ მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობაშიც ჩამორჩა ჩაის სამუშაოები. ეს ძირითადად აიხსნება შრომის დაბალი დისციპლინით. კოლმეურნეებს ლ. თარხანის, თ. ჩიხლაძეს, ვ. ანჩაბაძეს წელს კოლმეურნეობაში არცერთი შრომადღე არ. გამოუმუშავებიათ. ა. ბულისკერია, ქ. რუხაძე კოლმეურნეობიდან უნებართვოდ წავიდნენ და სხვა ორგანიზაციებში დაიწყეს მუშაობა.

ჩაის სამუშაოების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ანიგვარის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ, გვიანდება ჩაის გასხვლა. კოლმეურნეობის წევრებს გ. გვაძაბიას, ა. ტორუას, მ. კვარაცხელიას; ზ. კვარაცხელიას, ტ. გულუას, ლ. კაკაჩიას, ო. კაკაჩიას, ო. ნარმანიას, ს. ფურწყაიას, ლ. ყსართიას მიმდინარე წელს თვითეულს გამომუშავებული აქვს ეზოლად ერთიდან ათ შრომადღემდე. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (თავმჯდომარე ს. კვეკვესკირი, პარტიბიუროს მდივანი ი. შაკაია) რატომღაც უყურადღებიან იმ მდგომარეობას, რომ კოლმეურნეები ჯ. კვარაცხელია, ვ. ჭანტურია, ხ. მანდარია, დ. ტორუა კოლმეურნეობის გამგეობის უნებართვოდ სხვგან გადავიდნენ სამუშაოდ.

რას აკეთებენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჩაის პლანტაციებში მიმდინარე სამუშაოების ჩატარების საქმეში არსებული სერიოზული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ?

უნდა ითქვას, რომ თვეების მანძილზე პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს ჩაის პლანტაციების გაშენებისა და მოვლის საკითხები არც კი განუხილავთ. შემდეგ, როცა ჩამორჩენა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა, აჩქარდნენ და მიმდინარე წლის 9 მარტის სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი, აღნიშნეს არსებული გარღვევები, დადგენილებაც მიიღეს. მაგრამ დადგენილება ორგანიზატორული მუშაობით არ განმტკიცეს და მის შემდეგ მდგომარეობა უცვლელია, ჩამორჩენა ისევ გრძელდება.

შარშან რაიონში ჩაის პლანტაციების მოუვლელობისა და შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიკარგა წმენდა ფოთოლი. თუ ასე გაგრძელდა, გალის რაიონი წელსაც არ იქნება დაზღვეული ჩაის მნიშვნელოვანი დანაკარგებისაგან.

დროა აქედან სათანადო დასკვნები გააკეთონ საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ი. გოგეჩია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლაო-ჩაის კრეფა ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

ახალი წიგნები



ა. პუშკინის „ბოშები“ და „პოლტავა“ ქართულ ენაზე

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის საბელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა დიდი რუსი მწერლის **ა. პუშკინის** პოემები **„ბოშები“** და **„პოლტავა“**.

ორივე პოემა რუსულიდან თარგმნა პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

წიგნი საუცხოოდ არის დასურათებული მხატვარ ს. ქობულაძის მიერ. დეკორაციული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ დ. ციცაშვილს.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 76 გვერდს და ღირს 6 მან. 10 კაპ. წიგნის ტირაჟი 10.000 ეგზემპლარი.

ხ. ბერულავა — „ბზეონას წიგნი“. საბალტგამი, 1955 წელი. წიგნი, რომელიც შეიცავს 80 გვერდს, უხვად ილუსტრირებულია მხატვარ კ. მახარაძის მიერ, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 2 მან. 30 კაპ.

მ. ფრევლიშვილი — „გოგია და ტოლია“. საბალტგამი, 1955 წელი. წიგნი ლამაზად არის ილუსტრირებული მხატვარ შ. ცხადაძის მიერ, დაბეჭდილია სუკეთესო ქაღალდზე, შეიცავს 27 გვერდს და ღირს 2 მან.

გ. ჩიქოვანი — „მეორე ოჯახი“, საბალტგამი, 1954 წელი. წიგნი მოგვითხრობს ჩვენი პიონერების ზეჯდით სწავლასა და შრომაზე. ილუსტრირებულია მხატვარ გ. თოთიბაძის მიერ, შეიცავს 74 გვერდს, ტირაჟი 7.000. ფასი 2 მან. 20 კაპ.

ს. ჯილაია — ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. სახელგამი, თბილისი, 1954 წელი, ტირაჟი 10.000, გვ. 341, ფასი 7 მან. 55 კაპ.

ი. ხოშტარია — ლექსები და პოემა, სახელგამი, 1955 წელი. წიგნში შეტანილია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები ლენინზე და სტალინზე, სამშობლოზე, ლექსების ციკლი „სამღერა ქუთაისელ მეავტომობილეებზე“, აგრეთვე პოემა „დათა ლანდია“. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 160 გვერდს. ტირაჟი 5.000, ფასი 4 მან. 65 კაპ.

აფხაზეთის ასსრ სახელგამმა გამოუშვა შემდეგი წიგნები:

დ. გიგიბერია — სიმღერის ძალა. სოხუმი, 1954 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 120, ფასი 5 მანეთი.

ფ. დგებუაძე-ფულარია — ტყვარჩელის ლამპიონები. სოხუმი, 1954 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 189, ფასი 4 მან. 75 კაპ.

მ. ჟოლიავა — ლექსები. სოხუმი, 1954 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 107, ფასი 4 მან. 40 კაპ.

მჭიდრო საზოგადოებრივი კონტროლი — სავაჭრო ობიექტების ბრძოლის საფუძველი

საზოგადოებრივი კონტროლიორების დიდი არმია — პროფკავშირული აქტივი თვალსაჩინო მუშაობას ეწევა მაღაზიებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში წესრიგის დამყარებისათვის, სამკეთოთა ვაჭრობის წესების დაცვისათვის, მომხმარებელთა კულტურული მომსახურებისათვის.

ამას წინათ პარტიის თბილისის კომიტეტმა და საქართველოს პროფსაბჭომ მოიწვიეს საზოგადოებრივი კონტროლიორებისა და ვაჭრობის მუშაკთა აქტივის საქალაქო თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირი გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მამაცაშვილმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ი. ხეთაგურმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ სავაჭრო ორგანიზაციებში საზოგადოებრივი კონტროლის უფლება. თბილისის საწარმოებისა და საწარმო-დაწესებულებების საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებზე მომაგრებულია 1.300 მაღაზია, სასადილო, ფარდული და კიოსკი, სადაც მუშაობს ოთხი ათასამდე საზოგადოებრივი კონტროლიორი, გაუფმჯობესეს საქმიანობა მუშათა მომარაგების კომისიებმა.

კარგად მუშაობენ საზოგადოებრივი კონტროლიორები სარკვან-სტრიკოტაჟო კომბინატიდან, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოდან და სხვა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან.

ტრამვაის მუშათა სასადილოს სანიმუშო მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ კონტროლიორებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სადილების ხარისხს, სანიტარულ წესრიგს, ჯუჯრკლითა და საპირო ინვენტარით სასადილოს უზრუნველყოფას, ვაჭრობის წესების დაცვას, მომსახურებელთა თავაზიან მომსახურებას.

საზოგადოებრივი კონტროლიორების აქტიური დახმარებით ბევრი მაღაზიის კოლექტივი მტკიცედ იბრძვის ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის და სასურველ შედეგებსაც აღწევს. სისტემატურად ეწყობა მომხმარებელთა კონფერენციები, სწავლობენ მყიდველთა მოთხოვნებს, მტკიცე კავშირი აქვთ დამყარებული მოიწოდებელ ორგანიზაციებთან. ასეა, მაგალითად, თბილმრეწვავკრომის № 64 მაღაზიაში და მარცხენა ნაპირის საბჭების № 111 მაღაზიაში.

მაგრამ ზოგიერთი საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ჯერჯერობით არ აფასებს საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელობას, ყურადღებას არ აქცევს კონტროლიორების საქმიანობას. თბილისის თამბაქოს პირველ ფაბრიკაში ფორმალურად აირჩიეს 20 საზოგადოებრივი კონტროლიორი, ესენი ჯერაც არ არიან განაწილებულნი სავაჭრო ქსელზე, თუმცა საფაბრიკო კომიტეტზე მიმაგრებულია 14 სავაჭრო ობიექტი. აღინიშნა ფაქტები, როცა საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა ამხილეს მომხმარებლების წონა-ზომაში მოტყუების შემთხვევები, მაგრამ მილიციისა და პროკურატურის მუშაკებმა ქმედითი ზომები არ მიიღეს.

აი ერთი მაგალითი: პურის № 13 მაღაზიის გამგემ ვინმე მელიამ 1953 წელს სცემა ავტოსარემონტო ქარხნის საზოგადოებრივ კონტროლიორს ამხ. ჯანიაშვილს. თავგასულმა მელიამ პასუხისგებაში მისაცემად საქმე გადაეცა ლენინის რაიონის პროკურატურას. ნახევარ წელიწადს გრძელდებოდა საქმის გამოძიება-განხილვა. როგორც იქნა, რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ მელიას პირობითად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შარშან, წლის ბოლოს, საზოგადოებრივმა კონტროლიორმა ამხ. ირემაშვილმა იმავე მაღაზიის გამყიდველებს მაზმაშვილსა და ცაცაშვილს შეუდგინა აქტი მომხმარებელთა წონაში მოტყუებისათვის. დირექტორად იქ კვლავ მელია აღმოჩნდა. გამყიდველებმა, დირექტორმა და მისმა მოადგილემ სცადეს სახელი გაეტეხათ ირემაშვილისათვის და ბრალი დაედოთ მისთვის მექრთამეობაში. საკითხის შესწავლის დროს მელიასა და ოსიტაშვილზე დამატებითი მასალები შემოვიდა, რომლებიც გადაეგზავნა პროკურატურის ორგანოებს. ლენინის რაიონის პროკურატურა ფორმალურად მიუდგა საქმეს და შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება მიიღო: მაღაზიის დირექტორმა მელიამ და მისმა მოადგილემ ოსიტაშვილმა ვერ უზრუნველყვეს გამყიდველების მუშაობა, დაედოთ მათ დისციპლინარული სასჯელი, რაც ეცნობოს პურეაკრობის დირექტორს შესრულებისათვისო.

საკითხავია, განა მასალებიდან არ ჩანდა, რომ მელიამ არა მარტო ვერ უზრუნველყო ხელმძღვანელობა, არამედ გამყიდველებთან ერთად კიდეკაც ყალთაბანდობდა. ნუთუ ასეთ შემთხვევაში პროკურორის სანქცია იყო საჭირო ადმინისტრაციული სასჯელის დასადებად?

რესპუბლიკის პროკურატურა უნდა დაინტერესდეს მელიას და ზოგიერთი მისი მფარველის საქმით.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხშირად კონტროლიორები არა აქვთ მუშაობის სათანადო ცოდნა და გამოცდილება, საქართველოს პროფსაბჭო და პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები კი არ ახდენენ საზოგადოებრივი კონტროლიორების სწავლებას, არ განაზოგადებენ მოწინავე კონტროლიორთა გამოცდილებას, არ უწევენ მათ ინსტრუქტაჟს, კონსულტაციას.

ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება კონტროლიორებმა შ. გოცირიძემ (მაუდკამოლის კომბინატი) ს. იაკობიძემ (ტექსტილეფეტა ქალაქი), ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტის მუშათა მომარაგების კომისიის თავმჯდომარემ ს. მამულაშვილმა, სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატის მუშათა სასადილოს დირექტორმა გ. ცისკარიშვილმა და სხვებმა.

თბილისში ჯერ კიდევ არიან გაურკვეველი პროფესიის ადამიანები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან. ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ძლიერიშვილმა ილაშარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ მილიციის მუშაკები სპეკულაციის აღმოსაფხვრელად.

მიღებულ რეზოლუციაში თათბირის მონაწილეებმა დასახეს ღონისძიებანი საზოგადოებრივი კონტროლიორების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

თბილისის მოსახლეობისათვის

თბილკოოპვაჭრობამ, რომელსაც ქალაქში მოწყობილი აქვს 22 მაღაზია, დუქანი და ფარდული, მათ შორის ორი კვირეულმოწყობილი საჩუქნებელი მაღაზია, გასული წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. გასაყიდად გამოტანილ იქნა 9.921 ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ბოსტნეული და ხილი.

უკვე შემოზიდულია ათას ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. მარტში ქალაქში გასაყიდად კოლმეურნეობებისაგან შესყიდული იქნება ათას ტონამდე პროდუქტები, მათ შორის 50 ტონა ყვავილი, 100 ტონა ვაშლი, 90 ტონა ხორცი. 60 ტონა ბრინჯი, 200 ტონა კარტოფილი და 500 ტონა სხვადასხვა პროდუქტები.

თბილკოოპვაჭრობას განზრახული აქვს ახლო მომავალში თბილისში გახსნას კიდევ ერთი საჩვენებელი კვირეულმოწყობილი საკომისიო მაღაზია.

პასუხი შეკითხვაზე

თანამედროვე მდგომარეობა საბერძნეთში

რ. ქარჩხაძის (მაიაკოვსკის რაიონი) შეკითხვა

უკვე ათი წელია, რაც საბერძნეთში ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა ბატონობა გრძელდება. ამერიკის მონოპოლისტებმა „ტრუმენის დოქტრინითა“ და „მარშალის გეგმით“ ხელში ჩაიგდეს საბერძნეთის ეკონომიკა. ისინი ანადგურებენ საბერძნეთის მრეწველობას, ამ ქვეყანას ხდიან თავიანთი საქონლის გასაღების ბაზრად, კონტროლს უწევენ მთელი ქვეყნის ეკონომიკას, განსაზღვრავენ საბერძნეთის სახელმწიფო ბიუჯეტს, მთავრობის ხარჯებს და სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასს. ამერიკელი „მრჩევლები“ სცვლიან და ნიშნავენ მინისტრებს. მათ ხელშია საბერძნეთის შეიარაღებული ძალები. ისინი აძლევენ საბერძნეთს გრძელვადიან და მოკლევადიან კრედიტებს. ამ კრედიტების ანგარიშში საბერძნეთი იძულებულია შეიძინოს ამერიკელი მონოპოლისტებისაგან რეაქტიული თვითმფრინავები, ტანკები, ავტომანქანები და სხვ.

საბერძნეთი მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, ძნიშნელოვანი საერთაშორისო გზების შესაყარზე, რის გამო მას მეტად დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იმპერიალისტთა „რჩევა-დარიგებით“ საბერძნეთი 1952 წელს შეუერთდა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკს. 1954 წლის აგვისტოში კი საბერძნეთი შეყვანილ იქნა ბალკანეთის სამხედრო ბლოკშიც.

1953 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ იქნა საბერძნეთ-ამერიკის ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულება — საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალებისათვის ბაზების შექმნის შესახებ. ამრიგად, იურიდიულად გაფორმდა ამერიკის გაბატონებული მდგომარეობა საბერძნეთში. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების თავრობას უფლება ეძლევა სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენოს საბერძნეთის გზები, ნავსადგურები, შენობები; უფლება აქვს ააშენოს სამხედრო და სხვა ნაგებობანი. საბერძნეთის მთელი მატერიალური საშუალებანი გადადის ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში. ამ ხელშეკრულებით ამერიკელებმა განიმტკიცეს უფლება იყოლიონ საბერძნეთში თავიანთი შეიარაღებული ძალები.

ამჟამად საბერძნეთში ამერიკის შეიარაღებული ძალებისათვის შენდება და ფართოვდება მრავალი საავიაციო ბაზა, საზღვაო ნავსადგური, შენდება ყაზარმები და საწყობები. სამხედრო ობიექტების მოსაწყობად ამერიკელი ომის გამჩაღებლები ძალით აძევებენ მიწებიდან ბერძენ გლეხებს. მაგალითად, აეროდრომების მოსაწყობად ამერიკელებმა მესარის დაბლობში (კუნძულ კრეტას სამხრეთ სანაპიროზე) გლეხებს წაართვეს 30 ათასი სტრემი (ერთი სტრემი უდრის ერთ მეათედ ჰექტარს) სათესი ფართობი და ამ ფართობის გარშემო აჩეხეს 18 ათასი ზეთისხილის ხე. სოფელ ანდრავიდაში გლეხებს აკრძალული აქვთ ამ სოფლის ახლომდებარე ტერიტორიის გამოყენება, რადგან იქ შენდება ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის სამხედრო-საჰაერო ბაზები.

უცხოელ დამპყრობთა ასეთი თვითნებობა წლითიწლობით აუარესებს ბერძენი გლეხების მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს. საბერძნეთის სოფლის მეურნეობა კრიზისს განიცდის. გლეხებს საშუალება არა აქვთ გაასაღონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ისინი იძულებული არიან ყოველწლიურად შეამცირონ სათესი ფართობი. ამასთან ერთად წლითიწლობით მცირდება მოსავლიანობაც. მაგალითად, 1954 წელს ხორბლისა და ქერის მოსავლიანობა 1953 წელთან შედარებით 2,1 მილიონი ცენტნერით შემცირდა, მაშინ როცა სოფლის მეურნეობა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას პურზე მხოლოდ 35 პროცენტით აკმაყოფილებს. ომისშემდგომ წლებში ყურძნის მოსავალი ორჯერ შემცირდა, თამბაქოსი კი ერთი მესამედით.

ომამდე საბერძნეთს ევროპის ბაზრებზე გასაყიდად გაჰქონდა თამბაქო, ციტრუსები, ქიშმიში და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ომისშემდგომ პერიოდში ამერიკელმა იმპერიალისტებმა ბერძენ გლეხობას მოუსპეს პროდუქტების გასაღების ეს საშუალება. ამერიკის თამბაქოს მონოპოლისტებმა და ხმელი ხილის ექსპორტიორებმა დასავლეთ ევროპის ბაზრებიდან გააძევეს ბერძნული საქონელი, რის გამო ბერძენი გლეხობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გლეხობის გაღატაკებამ გამოიწვია მისი მყიდველობითი უნარის დაცემა, რამაც თავის მხრივ შეზღუდა ადგილობრივი ბაზარი.

საგრძნობლად შემცირდა საბერძნეთის სამრეწველო საქონლის წარმოებაც. ამჟამად მძიმე მრეწველობის დონე დიდად ჩამორჩება ომამდელ დონეს. წლითიწლობით კოტრდებიან წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ფენები. ბერძნული „ელეფთერია“ იუწყება, რომ მხოლოდ 1952 წელს საბერძნეთში არსებული 72 საფეიქრო ფაბრიკიდან დაიხურა 41. საბერძნეთში მთელი სიმძლავრით მუშაობენ მხოლოდ სამხედრო ქარხნები და ამერიკის ფირმების სამხედრო სამშენებლო ორგანიზაციები. ყოველივე ეს კიდევ უფრო აუარესებს მშრომელი მასების მდგომარეობას. იზრდება უმუშევართა არმია. როგორც „ელეფთერია“ აღნიშნავდა, უმუშევართა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ მთავრობამ აკრძალა ამ საკითხზე რაიმე ცნობის გამოქვეყნება.

დიდი სამხედრო ხარჯები იწვევს სასურსათო და ფართო მოხმარების საქონლის ფასების ზრდას. ბერძნული პრესის ცნობით, მარტო ერთი წლის (1953 წ.) განმავლობაში პურის ფასი 26 პროცენტით გაიზარდა, ხორცისა — 72 პროცენტით, თევზისა — 100 პროცენტით, ხოლო მშრომელთა რეალური ხელფასი წლითიწლობით მცირდება. გაზეთი „ათინაიკი“ წერდა, რომ მხოლოდ 6 თვის განმავლობაში (1953 წლის აპრილიდან ნოემბრამდე) საბერძნეთში მშრომელების ხელფასი 40 პროცენტით შემცირდა. 1954 წელს საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა ხელფასის გარანტირებული მინიმუმი.

საბერძნეთში მშრომელთა შვილებს არა აქვთ სწავლა-განათლების არავითარი საშუალება. იმისათვის, რომ ახალგაზრდა დაშვებულ იქნას მისაღებ გამოცდებზე ინსტიტუტში, მან უნდა გადაიხადოს თანხა, რომელიც უდრის საშუალო კვალიფიკაციის მქონე მუშის თვიურ ხელფასს, გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი იმისათვის, რომ ჩარიცხულ იქნას მოსწავლეთა სიაში, საჭირო უკვე შვიდჯერ მეტი თანხის გადახდა. სტუდენტი ვალდებულია აგრეთვე გადაიხადოს თანხა საწარმოო პრაქტიკის მისაღებად საშუალო მუშის თვიური ხელფასის რაოდენობით. მხოლოდ ერთ სასწავლო წელს სტუდენტმა უნდა გადაიხადოს იმდენი თანხა, რამდენსაც საშუალო კვალიფიკაციის მუშა 15-16 თვეში იღებს.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების კატასტროფულად გაუარესებამ და პოლიციურმა ტერორმა გამოიწვია მშრომელთა ფართო მასების მოძრაობა თავიანთი უფლებების დასაცავად. გაიზარდა სახალხო მოძრაობა დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და კაპიტალისტური კაბალის წინააღმდეგ. მოწინავე მუშა-კომუნისტების ხელძღვანელობით ახლოდან ერთი წლის განმავლობაში საბერძნეთში მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა 99 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 440 ათასმა კაცმა.

მუშათა მოძრაობამ გამარევოლუციურებელი ზეგავლენა მოახდინა გლეხობაზე, რომელიც აღდგა თავისი უფლებების დასაცავად. უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა გლეხობის მასობრივ მიტინგებს და გამოსვლებს. 1952 წლის აპრილში დრამის რაიონის ხუთი ათასმა მეთამბაქოე გლეხმა მოახდინა „მშიერი სვლა“ შავი დროშებით სოფელ პროტოიკანიდან ქალაქ დრამის რაიონული ადმინისტრაციის შენობამდე.

ბერძენი გლეხობა დიდ წინააღმდეგობას უწევს საბერძნეთის გადაქცევას სამხედრო ბაზად. სოფელ მედინის გლეხებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის დადგენილებას მათი სოფლის ტერიტორიის სამხედრო ბაზად გადაქცევის შესახებ.

საბერძნეთის რეაქციულ წრეებს არ აინტერესებთ მშვიდობა და დემოკრატია. მათ მშვიდობისა ეშინიათ იმიტომ, რომ მშვიდობის განმტკიცება ხელს შეუშლიდა სამხედრო პლაცდარმად საბერძნეთის გადაქცევის ამერიკულ პოლიტიკას. ამიტომ მშვიდობისათვის ბრძოლას ისინი ანტიეროვნულ მოქმედებად თვლიან და სიკვდილით სჯიან მის ორგანიზატორებს. მაგალითად, 1951 წლის დასაწყისში საბერძნეთის მმართველმა წრეებმა ქალაქ სალონიკში გაანადგურეს მშვიდობის დაცვის კომიტეტი და დახვრიტეს მისი ორგანიზატორი ნიკიფორიდისი. მაგრამ მიუხედავად ასეთი მკაცრი ზომებისა, მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგები ყოველწლიურად იზრდება.

რევოლუციურმა განწყობილებამ მოიცვა ბერძენი ახალგაზრდობა. გაიზარდა მისი მოძრაობა ამერიკელ მოძალადეთა წინააღმდეგ. 1954 წლის დეკემბერში ქალაქ სალონიკის ხუთი ათასმა სტუდენტმა მოაწყო ანტიამერიკული დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა გაანადგურეს ამერიკის შეერთებული შტატების ინფორმაციის ცენტრი, საჯაროდ დაგლიჯეს შეერთებული შტატების სახელმწიფო ალამი, ქვები დაუშინეს ამერიკის კონსულის მანქანას. ასეთი დემონსტრაციები გაიმართა საბერძნეთის სხვა ქალაქებშიც. დემონსტრანტები გაიძახოდნენ: „ამერიკელებო, წაეთრიეთ შინ!“

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელ იმპერიალისტთა დახმარებით საბერძნეთში ფეხი მოიკიდეს გერმანელმა მონოპოლისტებმა. დასავლეთ გერმანიის ცნობილმა მონოპოლისტმა კრუპმა საბერძნეთის მთავრობისაგან მიიღო სამხედრო მნიშვნელობის ნედლეულის მოპოვების უფლება. სააგენტო „ეფფორმასიონის“ ცნობით, კრუპის კონცერნმა შეიძინა საზოგადოება „ელინიკ ამერიკენ ლიგნიტ პროდაკტს“ აქციების პაკეტები, რითაც მურა ნახშირის საბადოების ექსპლ

ინგლისში ჩავიდა სტალინგრადის საქალაქო სახჭოს დელეგაცია

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს მოწვევით ლონდონს ჩამოვიდა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს დელეგაცია. ავროდრომზე დელეგაციას შეხვედნენ კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს წარმომადგენლები ლორდ-მერ ჯონ ფენელის მეთაურობით და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი. შეხვედრის დროს დელეგაციის ხელმძღვანელმა სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ი. შაპუროვმა და კოვენტრის ლორდ-მერმა ჯონ ფენელმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

მიესალმა რა დელეგაციის წევრებს, ფენელმა ხაზგასმით აღნიშნა სტალინგრადთან საბჭოთა ხალხის გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობა. ფენელმა აღნიშნა ის განსაკუთრებით გულთბილი სტუმართმოყვარეობა, რომელიც კოვენტრის დელეგაციას გაუწიეს საბჭოთა კავშირში, და განაცხადა, რომ ასეთსავე სტუმართმოყვარეობას გაუწევენ სტალინგრადის წარგზავნილებს კოვენტრში, ამასთანავე აღუთქვა, რომ საბჭოთა დელეგატებს სრული შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ყოველივეს, რის ნახვასაც ისინი მოისურვებენ.

სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა მიიღო დელეგაციის წევრები და კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს წარმომადგენლები და სადილი გაუმართა ორივე ქალაქის წარმომადგენლებს.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). პარიზის პრესის ცნობებით, სამხრეთ ვიეტნამში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, იმასთან დაკავშირებით, რომ 26 მარტს ვადა გაუდის ულტიმატუმს, რომელიც სამხედრო-ფეოდალურმა სექტებმა წარადგინეს ახალი მთავრობის შექმნის შესახებ, ნგო დინ დიემი ღიებს სასწრაფო სამხედრო ღონისძიებებს.

საიგონში დამხმარე ძალების სახით გამოწვეულია პარაშუტისტთა ორი ბატალიონი, გარდა ამისა სამხრეთ ვიეტნამის არმიის ათასამდე ჯარისკაცი უკვე მოვიდა ქალაქში და გამზადებულია საბრძოლველად.

საიგონიდან აგრეთვე იუწყებიან, რომ სამხედრო-ფეოდალური სექტების მეთაურებმა უარი თქვეს წასულიყვნენ ამერიკის წარმომადგენელთან სამხრეთ ვიეტნამში გენერალ კოლინსთან, რომელმაც ისინი მიიწვია, და განაცხადეს, რომ, თუ კოლინსს სურს მათი ნახვა, შეუძლია თვითონ მივიდეს მათთან.

ამის შემდეგ კოლინსი გაემგზავრა ლაოსში, რაც, როგორც ფიქრობენ, ნიშნავს განხეთქილებას მასა და სექტებს შორის.

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საიგონელი კორესპონდენტი დერდინი იუწყება, ამერიკელმა მოხელეებმა აშკარად აგრძნობინეს ჯვუფებს, რომლებიც ოპოზიციაში უდგანან პრემიერ-მინისტრ ნგო დინ დიემს, რომ ოპოზიციის მიერ შედგენილ მთავრობას შეერთებული შტატები არ დაუჭერდნენ მხარს.

მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). პარიზის პრესის ცნობებით, სამხრეთ ვიეტნამში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა.

როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, იმასთან დაკავშირებით, რომ 26 მარტს ვადა გაუდის ულტიმატუმს, რომელიც სამხედრო-ფეოდალურმა სექტებმა წარადგინეს ახალი მთავრობის შექმნის შესახებ, ნგო დინ დიემი ღიებს სასწრაფო სამხედრო ღონისძიებებს.

საიგონში დამხმარე ძალების სახით გამოწვეულია პარაშუტისტთა ორი ბატალიონი, გარდა ამისა სამხრეთ ვიეტნამის არმიის ათასამდე ჯარისკაცი უკვე მოვიდა ქალაქში და გამზადებულია საბრძოლველად.

საიგონიდან აგრეთვე იუწყებიან, რომ სამხედრო-ფეოდალური სექტების მეთაურებმა უარი თქვეს წასულიყვნენ ამერიკის წარმომადგენელთან სამხრეთ ვიეტნამში გენერალ კოლინსთან, რომელმაც ისინი მიიწვია, და განაცხადეს, რომ, თუ კოლინსს სურს მათი ნახვა, შეუძლია თვითონ მივიდეს მათთან.

ამის შემდეგ კოლინსი გაემგზავრა ლაოსში, რაც, როგორც ფიქრობენ, ნიშნავს განხეთქილებას მასა და სექტებს შორის.

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საიგონელი კორესპონდენტი დერდინი იუწყება, ამერიკელმა მოხელეებმა აშკარად აგრძნობინეს ჯვუფებს, რომლებიც ოპოზიციაში უდგანან პრემიერ-მინისტრ ნგო დინ დიემს, რომ ოპოზიციის მიერ შედგენილ მთავრობას შეერთებული შტატები არ დაუჭერდნენ მხარს.

ამერიკის შეერთებული შტატები არღვევენ ჟენევის შეთანხმებებს

პეკინი, 24 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა სტატია სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა მიერ ჟენევის შეთანხმებათა დარღვევის შესახებ.

ამას წინათ ნგო დინ დიემის მთავრობამ, ნათქვამია სტატიაში, ინდოჩინეთში საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის სარდლობის წაყოლებით ჩაშალა მუშაობა ვიეტნამში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის საინსპექციო ბრიგადისა, რომელიც გეგმაზავრა სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ ზანაკში ძალით ევაკუირებულ ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებთა მძიმე მდგომარეობის გამოსარკვევად.

სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა ეს მოქმედება ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით. ნგო დინ დიემის შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებთან წარმოადგენს სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის განგრძობას. ამისათვის მათ საიგონში შექმნეს სპეციალური ორგანიზაცია, გამოჰყვეს მის შესანახად 40 მილიონი ამერიკული დოლარი და ჩრდილოეთ ვიეტნამში გაგზავნეს გემები და თვითმფრინავები, რომელებსაც უშუალო ძონაწილეობა უნდა მიეღოთ მშვიდობიანი მოსახლეობის ძალით ევაკუაციაში.

ამ მოქმედებამ ფართო პროტესტი გამოიწვია ჩრდილოეთ ვიეტნამის მოსახლეობაში. მიუხედავად ტერორისა და შეკრისა, ამ ბოლო დროს ვიეტნამის სამხრეთით გარეკილი სამი ათასამდე კაცი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით დაბრუნდა უკან.

ჩრდილოეთ ვიეტნამის მცხოვრებთა ძალდატანებითი ევაკუაცია ჟენევის შეთანხმებათა პირდაპირი დარღვევაა. ამ მოქმედების საბოლოო მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიური ბატონობის შენარჩუნება და აღდგენა ვიეტნამში.

დალესის გამოსვლებიდან ჩანს, აღნიშნავს გაზეთი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვარაუდობენ ჩრდილოეთ ვიეტნამიდან საფრანგეთის ჯარების საბოლოოდ გაყვანის ვადამდე ძალად მოახდინონ ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში კიდევ 400 ათასი კაცის ევაკუაცია. გაშინგტონის ვარაუდით, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოახერხებენ ჩაშალონ არჩევნები ვიეტნამში და იძულებული გახდებიან განახორციელონ ეს არჩევნები ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად, გარეკილმა მოსახლეობამ ნგო დინ დიემის პოლიციური რეჟიმის პირობებში ხელი უნდა შეუწყოს არჩევნებში საჭირო „უმრავლესობის“ უზრუნველყოფას.

მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი გმობს ამერიკის შეერთებული შტატების ამ მოქმედებას და მხარს უჭერს ვიეტნამის სახალხო არმიის სარდლობის წარმომადგენელთა პროტესტს. ისინი მოითხოვენ დაცულ იქნას ჟენევის შეთანხმებანი, დაუყოვნებლივ შეწყდეს მშვიდობიან მცხოვრებთა ძალდატანებითი ევაკუაცია და ევაკუირებულნი დაბრუნებულ იქნან ჩრდილოეთ ვიეტნამში.

საფრანგეთის რესპუბლიკის საგჭოში

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ რესპუბლიკის საბჭოში გვიან ღამემდე გრძელდებოდა სხვადასხვა კომისიების მომხსენებელთა გამოსვლები. თითქმის ყველა კომისია ასე თუ ისე ემხრობა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, მაგრამ ბევრმა ორატორმა შეიტანა წინადადება კანონპროექტის შესწორებათა შესახებ. რესპუბლიკის საბჭოს კულუარებში ვრცელდება ხმები, რომ მთავრობის თავმჯდომარე მზად არის მიმართოს ზეგავლენის ისეთ საშუალებას, როგორიც ნდობის საკითხის დასმაა. ოფიციალურად მას ეს არ შეუძლია, რადგან კონსტიტუცია ნებას არ აძლევს ნდობის საკითხი დააყენოს მეორე პალატაში. მაგრამ, როგორც ამბობენ, იგი აპირებს კაბინეტის გადადგომით დაემუქროს სენატორებს, თუ მათ უშენშვნოდ არ მოაწონეს პარიზის შეთანხმებანი.

დღეს 10 საათზე ადგილობრივი დროით დაიწყო საერთო დისკუსია პარიზის შეთანხმებებზე.

დიდი მღელვარებაა უბნებში ლუქსემბურგის სასახლის ახლოს, რომელშიც სხდომები აქვს რესპუბლიკის საბჭოს. სასახლის შენობას გარს არტყია პოლიციის დიდი რაზმები; პოლიცია სპეციალურ სამვლეს სთხოვს ყველას, ვინც სასახლის შესასვლელისაკენ მიდის. რესპუბლიკის საბჭოში უწყვეტ ნაკადად მიემართებიან პარიზისა და საფრანგეთის ხეკრი სხვა ქალაქის მშრომელთა დელეგაციები. დელეგაციათა ნაკადი შეუნელებელი ძალით გრძელდება. მარტო გუშინ რესპუბლიკის საბჭოში მივიდა 128 დელეგაცია.

გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, მთელ რიგ საწარმოთა მუშები აწყობენ გაფიცვებს და მკიცე ხნით წყვეტენ მუშაობას პარიზის შეთანხმებათა მომხრეების იმ ცდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ფრანგ ხალხს თავს მოახვიონ ვერმახტის აღორძინება. ხანმოკლე გაფიცვები გაიმართა როშშრიუნის მშენებლობაზე (ზემო ალპების დეპარტამენტი), პარიზის გარეუბან მონტრეიში, სენ-დენის ქარხანა „ასტერში“, პარიზის გარეუბნების ეუენვილ-ლე-პონის, კურბვეკასა და სხვა ქალაქების მთელ რიგ საწარმოებში.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ჟაკ მადოლმა გაზეთ „მონდში“ გამოაქვეყნა სტატია, რომლითაც ამხილებს ინგლის-ამერიკის ზეგავლენას საფრანგეთზე.

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). რესპუბლიკის საბჭოს დღევანდელი სხდომა გაიხსნა ჟან შენტრონის გამოსვლით. მან რესპუბლიკის საბჭოს კომუნისტური ჯგუფის სახელით თქვა ეგრეთწოდებული „წინასწარი რეზოლუცია“, რომელშიც ნათქვამია:

„ახლანდელ საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს რა პარიზის შეთანხმებათა მუხლების შინაარსს, რესპუბლიკის საბჭო უარყოფს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პროექტს და ავალებს საფრანგეთის მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი გერმანიის პრმალეგმისა და ევროპაში კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციის შესახებ ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების მოსაწყობად“.

რესპუბლიკის საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად ამ წინადადებას კენჭი უნდა ეყაროს პარიზის შეთანხმებათა მუხლობრივი განხილვის დაწყების წინ.

„სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის წევრმა ივონ კუდე დიუ ფორესტმა განაცხადა, რომ იგი აპირებს ხმა მისცეს პარიზის შეთანხმებებს, „მიუხედავად მათი ნაკლოვანებებისა“, რამდენადაც დასავლეთ გერმანიის შეიარაღება თითქოს „გარდუვალია“.

დასავლეთ გერმანიის ახალი ვერმახტის აღვოკატად გამოვიდა აგრეთვე სოციალისტი მარსელ შმპე.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა „სოციალური რესპუბლიკელი“ ჟან ივ შაპალენი და „განაცხადა, რომ „ახსოვს რა დაღუპული ამხანაგები, რომლებიც გერმანიის სამხედრო ხროვის მსხვერპლად დაეცნენ“, იგი მოუწოდებს „უარყონ პარიზის შეთანხმებანი, უარყონ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება“.

„მთელი დიპლომატიური ხრიკები, რომელთა დახმარებით ცდილობენ გაამართლონ პარიზის შეთანხმებანი“, — ხაზგასმით აღნიშნა შაპალენმა, ვერ მიჩქმალავენ იმ ფაქტს, რომ ეს შეთანხმებანი „საფრანგეთს არ აძლევენ მისი უშიშროების არავითარ საკმაო გარანტიას“.

სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა კომუნისტი ჟან შენტრონი, რომელმაც დაასაბუთა მის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი.

პარიზი, 25 მარტი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში გრძელდებოდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის კანონპროექტის განხილვა.

თავის გამოსვლაში რაიმონ პენშარმა („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებანი დიდ შეშფოთებას იწვევენ საფრანგეთის საზოგადოებრიობაში. მან აღნიშნა, რომ მთავრობის მეთაურის ფორის არგუმენტებმა ვერ გააქარწყლა ეს შეშფოთება.

პენშარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებანი არ შეიცავენ არავითარ გარანტიას გერმანიის მილიტარიზმის აგრესიის წინააღმდეგ. მან შიში გამოთქვა, რომ ამ შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში დასავლეთ გერმანია შექმნის თავის არმიას, ისე რომ ანგარიშს არ გაუწევენ არავითარ შეზღუდვას.

რესპუბლიკის საბჭოს წევრთა ნაწილის ტაშის გრიალში პენშარმა თქვა: „უარი უნდა გთქვათ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებაზე. თუ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ მთელი მსხვერპლი, რაც ჩვენ გავიღეთ ორ მსოფლიო ომში, უსარგებლო აღმოჩნდება. მე საკმაოდ ვცემ პატივს ჩემი ქვეყნის ღირსებას და ამიტომ მთელი ძალით ვილაშქრებ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ“.

პენშარის სიტყვამ ააღელვა სხდომის მონაწილენი და მას დაუყოვნებლივ გასცა პასუხი პრემიერ-მინისტრმა ედგარ ფორმა, რომელიც მანამდე ფიქრობდა სიტყვა აეღო მხოლოდ კამათის ბოლოს.

დაკონებით მოითხოვდა რა პარიზის შეთანხმებათა დაუყოვნებლივ რატიფიკაციას, ფორი, მიუხედავად ფაქტებისა, უარყოფდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ზეგავლენას ახდენენ საფრანგეთზე. მისი გამოსვლის ძირითადი აზრი იყო დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გამართლება. საფრანგეთის თანხმობა გერმახტის აღდგენაზე მან დაახასიათა როგორც „რეალისტური პოლიტიკა“, რომელიც თითქოს ხელს შეუწყობს „საფრანგეთ-გერმანიის შერიგებას“.

შემდეგ ფორმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის საბჭოს უარი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციაზე გამოიწვევს მთავრობის ახალ კრიზისს. ჩვენ არ შეგვიძლია მუდამ ვცვალოთ ჩვენი თვალსაზრისი, — თქვა მან. — თუ ეს კიდევ მოხდება, მაშინ ყოველ შემთხვევაში მე არ ვაცხობებ ამას ჩვენს მოკავშირეებს“.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საბოლოოდ გამოვიდნენ აგრეთვე ეორე პერნო („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) და რესპუბლიკის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარსელ პლეზანი.

პიერ მარსილასი („დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“) შეეკამათა იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ პარიზის შეთანხმებათა უარყოფით საფრანგეთი თითქოს გაუფარესებს თავის საერთაშორისო მდგომარეობას, რადგან იგი „მარტოდმარტო აღმოჩნდება“. „მაგრამ გასულ ათ წელიწადს, — თქვა მარსილასმ, — ჩვენ მარტოდმარტო არ ვყოფილვართ, და მაინც ახლო აღმოსავლეთში მეტად ძნელი მდგომარეობა შეგვექმნა, შორეულ აღმოსავლეთში კი ჩვენი ინტერესები შეილახა. ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენი ყოფნა საფრთხეშია. ჩვენი ურთიერთობა მოკავშირეებთან ყოველთვის როდი იყო ძალიან კარგი. მე არა მგონია, რომ ეს ურთიერთობა გაუმჯობესდეს რატიფიკაციის შემდეგ“.

კამათმა გვიან საღამომდე გასტანა.

თურქეთი შეიარაღებული ინტერვენციით ემუქრება სირიას

სირიის დანაწილების გეგმები

კაირო, 24 მარტი. (საკდესი). კაიროს რადიო ამოწმებს სირიული გაზეთების ცნობებს და გადმოგვცემს, რომ თურქეთის ჯარებს თავს უყრიან სირიის საზღვრებთან. გაზეთი „ალ-აჰრამის“ დამსკოელი კორესპონდენტი წერს, რომ დიდი შეიარაღებული ძალები თავმოყრილია, კერძოდ, ღაზი-ანტების რაიონში. გაზეთების განცხადებით, თურქეთის ნაწილებს თავმოყრას სირიის საზღვარზე პირდაპირი კავშირი აქვს თურქეთის მთავრობის ცდებთან, რომელიც ასრულებს ამერიკის პოლიტიკის გამტარებლის როლს, აიძულოს სირია გახდეს თურქეთ-ერაყის ხელშეკრულების მონაწილე, რაც პირველი ნაბიჯი იქნებოდა სირიის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის გზაზე.

უცხოეთის პრესის ობიექტივი აღნიშნავს, რომ გარიგება, რომლის საფუძველზეც მენდერესისა და ნური საიდის მთავრობებმა ხელშეკრულება დადეს „თურქეთისა და ერაყის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“, ითვალისწინებს სირიის დანაწილებას. ამასთან თურქეთს, რომელმაც 1939 წელს მოსწყვიტა სირიის ალექსანდრეტის სანჯაკი, განზრახულია აქვს მოახდინოს ალეპის რაიონის ანექსია, ხოლო სირიის ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი განზრახულია შეიყვანოს ნავარაუდევ „სირია-ერაყის ფედერაციაში“.

კაიროს ინფორმირებულ წრეებში ამტკიცებენ, რომ ეს დამპყრობლური გეგმები შედგენილია ამერიკა-ინგლისის შეთანხმების შედეგად, რომლის მიხედვით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირობა-დადეს ხელი არ შეუშალონ იმას, რომ ერაყმა მოახდინოს სირიის მეტი ნაწილის ანექსია იმის სანაცვლოდ, რომ ინგლისი მხარს უჭერს თურქეთ-ერაყის პაქტს. „ყველა საფუძველია ვიფიქროთ, — წერს გაზეთი „ალ-აჰრამი“, — რომ ნური საიდმა მიიღო დასავლეთის დაპირება. რომ იგი მხარს დაუჭერს „კურთხეული ნახევარმთვარის“ პროექტის განხორციელებას, რაც უწინარეს ყოვლისა სირიას ემუქრება“. აღნიშნავენ, რომ ამას წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უარყვეს სირიის მთავრობის თხოვნა მისცენ იმის გარანტია, რომ ხელშეუხებელი იქნება სირიის ტერიტორია მის ახლანდელ საზღვრებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავენ, უარი თქვეს მისცენ ასეთი გარანტია, მიუხედავად იმისა, რომ 1950 წლის მაისში ისინი საფრანგეთთან ერთად გამოვიდნენ დეკლარაციით ახლო აღმოსავლეთში სტატუსკვოს შენარჩუნების შესახებ.

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან იუწყება, რომ სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალედ აზემმა მოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, პაკისტანის, ბელგიის, იაპონიისა და ერაყის დიპლომატიური წარმომადგენლები და აცნობა მათ თურქეთ-სირიის ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობის შესახებ.

ბონის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებებს

ბერლინი, 24 მარტი (საკდესი). დპა-ს საგენტო იუწყება, რომ დღეს ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაისმა დამტკიცა ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მიერ რატიფიცირებული პარიზის შეთანხმებანი და განკარგულება გასცა გამოაქვეყნონ ისინი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ განაგრძო განხილვა ეგვიპტის საჩივრისა ისრაელის წინააღმდეგ იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც ამა წლის 28 თებერვალს მოხდა ღაზის რაიონში.

უშიშროების საბჭომ მოისმინა ისრაელისა და ეგვიპტის წარმომადგენელთა სიტყვები.

ისრაელის წარმომადგენელი ვრცელ სიტყვაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ორივე სახელმწიფოს შორის არსებულ დაძაბულობაში ბრალი მიუძღვის ეგვიპტეს. მან ჩამოთვალა მთელი რიგი ინციდენტები, რომლებიც, მისი აზრით, ამას ადასტურებენ. ისრაელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს არ შეუძლია ღაზაში მომხდარი ინციდენტი განიხილოს დანარჩენი ინციდენტებისაგან მოწყვეტით, რომლებიც ისრაელ-ეგვიპტის საზღვარზე მოხდა, აგრეთვე ისრაელისა და ეგვიპტის ურთიერთობაში არსებული საერთო დაძაბულობისაგან მოწყვეტით.

ეგვიპტის წარმომადგენელმა, რომელმაც დაიტოვა უფლება დაწვრილებით გასცეს პასუხი ისრაელის წარმომადგენლის გამოსვლაზე, განაცხადა, რომ ამ უკანასკნელის სიტყვა წარმოადგენს ახალ ცდას ეგვიპტის კონკრეტული საჩივარი ღაზაში მომხდარი ინციდენტის შესახებ „ჩაახშოს“ ორივე ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობის მაგალითების საერთო ნაკადში. შეეხო რა პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტატის უფროსის მოხსენებას, ეგვიპტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს მოხსენება მნიშვნელოვნად სცილდება ღაზაში მომხდარი ინციდენტის კონკრეტული საკითხის განხილვის ფარგლებს და რომ იგი ცოტას შეიცავს ისეთ მასალას, რომელიც ამ ინციდენტს ეხება.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა დახურა და გამოაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომის დღე უფრო გვიან იქნება გამოცხადებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიჯეჯის სხდომაზე

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). გუშინ ამერიკის დელეგაციას მეთაურის მოვალეობის აღსრულებელს ჯეიმს უოდსვორტს თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა. ქვეკომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 25 მარტს.

ლი სან ჩოს განცხადება კორეაში დაზავების სამხედრო კომისიაში

ფხენიანი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტო იუწყება, დაზავების სამხედრო კომისიის გუშინდელ სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის მთავარმა წარმომადგენელმა გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ამერიკის მხარე კვლავ არღვევს შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ.

ლი სან ჩომ მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის მხარემ ამ ბოლო დროს არაერთხელ შეგზავნა შეიარაღებული აგენტები დემილიტარიზებულ ზონაში, რომელიც კორეა-ჩინეთის მხარის კონტროლს ექვემდებარება, ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად და კორეა-ჩინეთის მხარის პერსონალის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსაწყობად. ყველა ეს ფაქტი, აღნიშნა ლი სან ჩომ, დაზავების შესახებ შეთანხმების პირობების აშკარა დარღვევაა. მან უარყო აბსურდული არგუმენტები, რომელთა საშუალებით ამერიკის მხარის წარმომადგენელი ცდილობდა დაემახინჯებინა საქმის არსი, და მოითხოვა იმათი მკცარად დასჯა, ვისაც ბრალი მიუძღვის დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევაში.



თბილისის გამწვანების ტრესტმა გააჩადა მუშაობა ქალაქის ქუჩების გასამწვანებლად. ამ დღეებში დაირგო 300 ძირი ბუჩქი და 5.000 ძირი ყვავილი. სურათზე: ყვავილების რგვა გაზონებში რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

სოციალისტურ შეჯიბრეგაში გამარჯვებულნი

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამეს გასული წლის მეოთხე კვარტალში კულტურის რაიონულ განყოფილებათა და კინოთეატრების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მიიღეს გადაწყვეტილება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ბრძანებით გასული წლის მეოთხე კვარტალში გეგმის შესრულების, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისა და მაყურებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის ქ. თბილისის კინოთეატრ „რუსთაველს“ (დირექტორი ამხ. შ. რუხაძე) გადაეცა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა პირველი პრემია 7.500 მანეთის რაოდენობით. ქ. თბილისის კინოთეატრ „ამირანს“ (დირექტორი ამხ. ე. თოფურიძე) გადაეცა მეორე პრემია, მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიასაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას (გამგე ამხ. გ. ოქროშიძე) — მესამე პრემია.

აღინიშნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ბოლნისის, გაგრის, თბილისის გარეუბნის, დმანისის, ქარელის, ლაგოდეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, ფალკის და ადიგენის რაიონების კულტურის განყოფილებათა, ქ. თბილისის კიროვის სახელობის პარკის, „კოლხიდის“, „ისანის“, „ქრონიკის“, „სპარტაკის“, „კომკავშირელის“, „თბილისის“, „ოქტომბრის“, სტალინირის, „ფიდიოგის“ და სხვა კინოთეატრების კარგი მუშაობა.

ვასო აბაშიძის ძეგლის გახსნა მთაწმინდაზე

27 მარტს დღის 1 საათზე ქართველ მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში მოზდება ქართული სცენის დიდი ოსტატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვასო აბაშიძის ძეგლის სახზეიმო გახსნა მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა და მუსიკის მცოდნეთა დელეგაცია თბილისში

თბილისში სამი დღის ყოფნის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა და მუსიკის მცოდნეთა დელეგაცია გერმანელ კომპოზიტორთა და მუსიკის მცოდნეთა კავშირის თავმჯდომარის ოტომარ ჰერსტერის მეთაურობით.

საქართველოს დედაქალაქში ყოფნისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის მოღვაწეები გაეცნენ სტალის დაყენებას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, დაესწრნენ სტუდენტთა კონცერტს, იყვნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე.

დელეგაციის წევრებმა ინახულეს საქართველოს სსტკოთა კომპოზიტორების კავშირი, სადაც შეხვედნენ ქართველ კომპოზიტორებს. მოისმინეს მათი მთელი რიგი ნაწარმოებები. შეკრებილთ გააცნეს თავიანთი შემოქმედება.

გერმანელი კომპოზიტორები და მუსიკის მცოდნეები მიიღო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ა. ლ. გუნიამ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სტუმართა პატივსაცემად მოაწყო დარბაზობა, რომელზეც იყვნენ თბილისის მუსიკალური კულტურის მოღვაწეები.

გამგზავრების წინ დელეგაციამ მოაწყო პრესკონფერენცია.

— ნებს ვიდი დიდი მადლობელი ვარ ქართველოს წარმატებამ მუსიკალური კულტურის განვითარებაში, — თქვა კომპოზიტორმა იოჰან' ცილერშვგმა. — მე, ისე როგორც ჩემს სხვა კოლეგებმა, გავეცანი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, მათ მიერ შექმნილ ოპერებს. სასიხარულოა, რომ ქართული ეროვნული მუსიკალური კულტურა, რომელიც საუკუნეებით თანამედროვე დონეზეა, სიყვარულით იცავს თავის ძველ ტრადიციებს.

დელეგაციის მეთაურმა ოტომარ ჰერსტერმ განაცხადა, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყველგან სამშობლოში ქვეყანაში, დიდი ზრუნავენ მუსიკალური კულტურის აყვავებისათვის, ნიჭიერი ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ამას მოწმობს მუსიკალურ სასწავლებლთა განშტოებული ქსელი რესპუბლიკაში.

საუნრის დასასრულს დელეგაციის წევრებმა თბილისის მშრომელებს გადაუთადეს მადლობა სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი მიღებისათვის. (საკდესი).

„პერიკოლა“ მუსიკალური კომედიის თეატრში

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ჟაკ ოფენბახის ოპერეტა „პერიკოლა“. ეს „პერიკოლას“ პირველი დადგმა ქართულ ენაზე. ლიბრეტო ქართული ტექსტი ეკუთვნის დ. გაჩეჩილაძეს.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა, დირიჟორია თეატრის მთავარი დირიჟორი მ. ბორჩხენ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფ. ლაპაიშვილს, ცეკვების დადგმა — დ. ბაკურიანს. ხორმეისტერია ნ. მამაცაშვილი.

სპექტაკლში წამყვან როლებს ასრულებენ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ახლად კურსდამთავრებულები ე. გურაშვილი (პერიკოლა) და ო. ბახტაძე (პიკილო).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ე. დ. ჩოფიაშვილი დანიშნა საქართველოს სს